# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ცილობით და ჭორებით ბურთის გაგდება ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი-სამშაბათი, 29-30 აგვისტო. 2022 წ. №129-130 (9467-9468) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი


იაკობ ლეჟავა:

# ასე რამ გადაგრიათ ქართველებო, მართლა სულ დაუსტვინეთ?!

**რუსეთ-უკრაინის ომი და ჩვენი დამოკიდებულება: რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებისადმი, მეორე ფრონტისადმი, რუსებისადმი**

ისე აირია მსოფლიო რუსეთ-უკრაინის, ფაქტობრივად კი, რუსეთსა და დასავლეთს შორის გაჩაღებული ომის შემდეგ, რომ არათუ შორეული მომავლის, ხვალინდელი დღის განჭვრეტაც კი ძალიან ჭირს. ეს ორი მხარე დროზე თუ არ მოეგო გონს, გლობალური კატასტროფა გარანტირებული გვექნება და, ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა თავისი ნატვრაც თუ აისრულა (ამაზე, — მოგვიანებით), მაშინ ერთ-ერთი პირველები მოუსავლეთში წამსვლელებიდან, უთუოდ ჩვენ, ქართველები ვიქნებით!

ჯერ, შუა ევროპაში ატეხილი ომის მიზეზებზე ვთქვათ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია და, შეიძლებოდა თუ არა რუსებსა და უკრაინელებს შორის ძმათამკვლელი ომის თავიდან აცილება. უპირველესად, ბუნებრივია, უნდა ვიცოდეთ, თუ რას მოითხოვდა ომის წამომწყები მხარე, ანუ რუსეთი.

ამის გასარკვევად კი ოდნავ უკან უნდა დავიხიოთ. ვარშავის სამხედრო ბლოკის და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (1991) „ნატოს“ ბლოკის საჭიროება აღარ იყო და ისიც რომ დაშლილიყო, მხოლოდ წაადგებოდა მსოფლიოს, მაგრამ მოხდა პირიქით — მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ს, როგორც რუსები ამტკიცებდნენ, პირობა ჰქონდა მიცემული საბჭოთა კავშირისთვის — „ნატოს“ აღმოსავლეთისკენ არგაფართოების შესახებ, იგი სწორედ აღმოსავლეთისკენ, რუსეთის მიმართულებით გაფართოვდა.


იხ. 2-3 გვ.





რუსეთის საზღვრამდე დარჩენილი იყო ერთადერთი უკრაინა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ცხვირწინააცალა ამერიკამ რუსეთს, გადაიბირა, მოაწყო რა 2014 წლის „მაიდანი“, ანუ შეიარაღებული გადატრიალება და დაიწყო უკრაინის გამალებული შეიარაღება, არმიის გადაწყობა ამერიკის ყაიდაზე და დაცვითი ზღუდეების მშენებლობა. მართალია, თითქოს, რუსეთმაც მაგიერი მიუზღო ამერიკასაც და უკრაინასაც (განდგომის გამო) — მანაც ცხვირწინ ააცალა ყირიმი და რუსეთს მიუერთა, მაგრამ ამერიკის ჩანაფიქრისთვის ეს უკეთესიც იყო, რადგანაც მას უკრაინის (და, — არც საქართველოს) ტერიტორიული მთლიანობა აბსოლუტურად არ აინტერესებს და არც ანაღვლებს, მისი მთავარი მიზანი ამ ორი სახელმწიფოს (პერსპექტივაში კი — შუა აზიის და ამიერკავკასიის დანარჩენი სახელმწიფოებისაც) რუსეთთან დაპირისპირება და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებაა.

თინა ბარამიძე:

## გულს მოგონებები ალოცხლებს!..


6 7




ათენი, კოლეგებთან ერთად აკროპოლის ნანგრევებთან.

## „ახალი კუმისი“ გაძარცვულ ნასახლარს ემსგავსება!


4


## როგორ ბაირამობენ ბაირამოვები ქართულ ოჯახზე!




5


## სახელოვანი მათემატიკოსი ვლადიმერ ბალაძე

ბათუმის შოთა რუსთაველისა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტების სტუდენტთა დიდი მეგობარი

## ვინ ეხმარება მოსკოვს მარაგის არალეგალურად შევსებაში




8


## რუსეთს შეიარაღება ელევა?!




...თუ რა შუაშია ომი და ხოცვა-ნგრევა ახალი სახელმწიფოს შექმნასთან, ამას გვიხსნის ცნობილი უკრაინელი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი, ებრაული ეროვნების ედუარდ ხოდოსი, რომელმაც ჯერ კიდევ 2014 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა „მიმართვა უკრაინელებს. ხაზარების კაგანატი: სისხლი და ჯოჯოხეთი“.

ციონალისტების ალაგმვა, შესაბამისი კანონების მიღება ან მოსახლეობისთვის იმის ახსნა-განმარტება, რომ **ბანდერას, შუხევიჩის** და სხვების გმირებად წარმოჩენა, რომლებსაც ათეულ ათასობით უკრაინელი ებრაელის ცოდვა აწევთ კისერზე, ყოვლად დაუშვებელია. შეუძლებელია, რომ ასეთმა უმოქმედობამ საფუძვლიანი ეჭვები არ აღუძრას ნებისმიერ ადამიანს, პოლიტიკაში ჩაუხედავსაც, ხოლო ასე თუ ისე ჩახედულები კი, რომლებსაც სიონისტების სანუკვარი მიზნის — ახალი ებრაული სახელმწიფოს, ე.წ. **ზეციური იერუსალიმის** შექმნის პროექტის არსებობის შესახებ სმენიათ (უკრაინის ხუთი ოლქის: დნეპროპეტროვსკის, ზაპოროჟიეს, ხერსონის, ნიკოლაევის და ოდესის ტერიტორიაზე), არ დაარწმუნოს იმაში, რომ ამ მიზნის მისაღწევი წინასწარი სამუშაოები უკვე ბულს, უკრაინელები, რუსების, როგორც მტრების მიმართ სიძულვილის პროპაგანდით გასულელებულები, თავადვე მიართმევენ მათ. **ცნებების ჩანაცვლება-აღრევა ებრაელების კლასიკური ხერხია: რუსი, სისხლისმიერი ძმა მტრად არის გამოცხადებული.** რუსები და უკრაინელები თითქმის ისეთივე სათაგურში მოხვდნენ, როგორშიც 1917 წელს, როდესაც მოძმე სლავი ხალხები, ებრაელი პროპაგანდისტების მიერ წითლებად და თეთრებად გაყოფილები, ერთმანეთს ხოცავდნენ, რათა ხელისუფლებაში ბოლშევიკები მოეყვანათ, რომელთა ზემდგომი ფენა თითქმის მთლიანად ებრაელებისგან შედგებოდა. სამწუხაროდ, მას შემდეგ ბევრი უკრაინელი და რუსი დიდად არ დაჭკვიანებულა. დღეს ისინი ერთმანეთს ხოცავენ უკრაინაში, რათა ებრაელებს ადგილი გაუნთავისუფ-

# ასე რამ გადაგრიათ ქართველებო, მართლა სულ დაუსტვინეთ?!

(პირველი გვერდიდან) დასავლეთმა ნახა, რომ რუსეთის საქმე სულ უკან-უკან მიდიოდა, რომ იგი უძლურდებოდა როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკურ სფეროში და, ამით ისარგებლა — 1999 წელს დაარღვია პირობა და „ნატოს“ წევრად სამი სახელმწიფო მიიღო: პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი.

საქმე იმაშია, რომ **გორბაჩოვის (იაკოვლევ-შევარდნაძესთან** ერთად) გამყიდველი პოლიტიკის თუ უთავობის შედეგად დასავლეთსა და სსრკ-ს შორის მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება მოხდა, მაგრამ არც ამის დამადასტურებელი რაიმე საბუთი აღმოჩნდა რუსეთში, კოლექტიური დასავლეთი კი კატეგორიულად უარყოფდა: მსგავსი დაპირება — აღმოსავლეთისკენ ნატოს გაფართოების შესახებ, არასოდეს მიგვიციაო! ამით ხელფეხგახსნილმა აშშ-მა უკვე 2004 წლისთვის „ნატოში“გააწევრიანა აღმოსავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფო, მათ შორის, ბალტიისპირეთის სამივე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა (საერთო ჯამში კი, 2020 წლისთვის „ნატო“ 14 (!) სახელმწიფოთი გაფართოვდა). უშუალოდ რუსეთის საზღვრამდე დარჩენილი იყო ერთადერთი უკრაინა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ცხვირწინ ააცალა ამერიკამ რუსეთს, გადაიბირა, მოაწყო რა 2014 წლის „მაიდანი“, ანუ შეიარაღებული გადატრიალება და დაიწყო უკრაინის გამალებული შეიარაღება, არმიის გადაწყობა ამერიკის ყაიდაზე და დაცვითი ზღუდეების მშენებლობა. მართალია, თითქოს, რუსეთმაც მაგიერი მიუზღო ამერიკასაც და უკრაინასაც (განდგომის გამო) — მანაც ცხვირწინ ააცალა ყირიმი და რუსეთს მიუერთა, მაგრამ ამერიკის ჩანაფიქრისთვის ეს უკეთესიც იყო, რადგანაც მას უკრაინის (და, — არც საქართველოს) ტერიტორიული მთლიანობა აბსოლუტურად არ აინტერესებს და არც ანაღვლებს, მისი მთავარი მიზანი ამ ორი სახელმწიფოს (პერსპექტივაში კი — შუა აზიის და ამიერკავკასიის დანარჩენი სახელმწიფოებისაც) რუსეთთან დაპირისპირება და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებაა. ამიტომ, ყირიმის მიერთება და აფხაზეთ-სამაჩაბლოს საქართველოსგან გამოყოფა, მხოლოდ ამძაფრებდა უკრაინისა და საქართველოს დამოკიდებულებას რუსეთთან, რაც, ბუნებრივია ამერიკის წისქვილზე ასხამდა წყალს. საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ამერიკელებმა მეზობელი სლავები, მოძმე — უკრაინელები უფრო მეტად გადაკიდეს რუსებს, ვიდრე, — ჩვენ, კავკასიონის ქედს აქეთ მცხოვრებნი. 2014 წლიდან დაწყებული, უკრაინაში მძვინვარე რუსოფობია — რუსების შევიწროება, რუსულ ენაზე სწავლების აკრძალვა, სამამულო ომში დაღუპულ მებრძოლთა მემორიალების, გამოჩენილი მხედართმთავრების ძეგლების ნგრევა და წაბილწვა, ხოლო უკრაინელი ფაშისტების კი — გაფეტიშება, ეროვნულ გმირებად წარმოჩენა, ფაშისტური სიმბოლიკის მქონე სამხედრო შენაერთების შექმნა და მაშხალებით მარშირება, ჩვეულებრივი მოვლენა გახდა უკრაინის ქალაქებში. მსგავსი რამ საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგაც კი არ ყოფილა.




**ებრაელები, იყენებენ რა უკრაინელ ნაციონალისტებს, უკრაინისგან ქმნიან ხაზარების კაგანატს. ისინი იპყრობენ უკრაინის ტერიტორიას, რომელსაც სიმბოლურ ვერცხლის ლანგარზე დადებულს, უკრაინელები, რუსების, როგორც მტრების მიმართ სიძულვილის პროპაგანდით გასულელებულები, თავადვე მიართმევენ მათ. ცნებების ჩანაცვლება-აღრევა ებრაელების კლასიკური ხერხია: რუსი, სისხლისმიერი ძმა მტრად არის გამოცხადებული.**

აქ ერთი რამ იპყრობდა ყურადღებას — მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის რადაში (პარლამენტში) 500 დეპუტატიდან 300 (!) ებრაელი ეროვნების დეპუტატია და ყველა უმაღლესი თანამდებობაც მათ უკავიათ (პრეზიდენტი იქნება, რადას თავმჯდომარე, მინისტრები, გუბერნატორები თუ ყველაზე მდიდარი და გავლენიანი ოლიგარქები!), მათგან არავის არ უცდია ამ მოფაშისტო ნაექვსი თვეა მიმდინარეობს ამ ოლქებში საომარი მოქმედებების სახით.

თუ, რა შუაშია ომი და ხოცვა-ნგრევა ახალი სახელმწიფოს შექმნასთან, ამას გვიხსნის ცნობილი უკრაინელი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი, ებრაული ეროვნების **ედუარდ ხოდოსი,** რომელმაც ჯერ კიდევ 2014 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა **„მიმართვა უკრაინელებს. ხაზარების კაგანატი: სისხლი და ჯოჯოხეთი“**. მიმართვის არსი ასეთია: ებრაელები, იყენებენ რა უკრაინელ ნაციონალისტებს, უკრაინისგან ქმნიან **ხაზარების კაგანატს.** ისინი იპყრობენ უკრაინის ტერიტორიას, რომელსაც სიმბოლურ ვერცხლის ლანგარზე დადელონ, იმათ, ვინაც ეს სისხლიანი დაპირისპირება გააჩაღა. ამ მიმართვაში არავითარი ანტისემიტიზმი არ არის! ეს მხოლოდ ისტორიული ფაქტებია, სრული სიმართლე.

მკითხველს შევახსენებ: **ყველაფერ ამას წერს ებრაელი კაცი — რაბინი,** ხარკოვის რეფორმისტული იუდაიზმის ებრაელთა საზოგადოების ხელმძღვანელი, იუდეური მოძრაობა ხაბად ლიუბავიჩის მოწინააღმდეგე.

ახლა ვნახოთ რას ამბობს „ზეციური იერუსალიმის“ პროექტის აღმასრულებელი დირექტორი **იგორ ბერკუტი:** „ზეციური (ახალი) იერუსალიმის პროექტის განხორციელებას სტარტი 2014 წელს მიეცა:

**მილიონობით ებრაელის ჩამოსახლების და მათი კეთილმოწყობის საკითხი ისრაელის პრემიერ ნათანიახუს მიერ შეთანხმებულია როგორც უკრაინის მაშინდელ პრემიერ გროისმანთან, ისე რუსეთის პრემიერ მედვედევთან, და პრეზიდენტ ტრამპის უფროს მრჩეველთან, მის სიძესთან კუშნერთან, რომელიც ამავე დროს ებრაელთა მეტად გავლენიანი ორგანიზაციის — ხაბად ლიუბავიჩის წევრია!**



პირველი ხუთი წელი — **არსებული სისტემის ლპობა და გახრწნაა;** მეორე ხუთი წელი — **დესტრუქცია და ფრაგმენტაცია 2019-დან** (ანუ, რაც ამჟამად მიმდინარეობს უკრაინაში. — **ი.ლ.**) და, 2024-დან — **რეფორმირება.** 2029 წელი კი ახალი იერუსალიმის პირველი ნაბიჯი იქნება" (2029 წლის ბოლომდე ხუთ მილიონ ებრაელს მოელიან ახალ სამშობლოში სხვადასხვა სახელმწიფოდან, მათ შორის, რუსეთიდანაც)!

არ იფიქროთ, რომ ეს პროექტი ვიღაც ავადმყოფი ებრაელის თავში მომწიფდა, როგორ გეკადრებათ! მილიონობით ებრაელის ჩამოსახლების და მათი კეთილმოწყობის საკითხი ისრაელის პრემიერ **ნათანიახუს** მიერ შეთანხმებულია როგორც უკრაინის მაშინდელ პრემიერ **გროისმანთან,** ისე რუსეთის პრემიერ **მედვედევთან,** და პრეზიდენტ ტრამპის უფროს მრჩეველთან, მის სიძესთან **კუშნერთან,** რომელიც ამავე დროს ებრაელთა მეტად გავლენიანი ორგანიზაციის — ხაბად ლიუბავიჩის წევრია! პროექტს მხარს უჭერენ ისეთი ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, პოლიტოლოგები და ანალიტიკოსები, როგორებიცაა: **პოზნერი, სოლოვიოვი, სატანოვსკი, გორდონი, კედმი, პოგრიბინსკი** და სხვები.

მიუხედავად პროექტის მასშტაბურობისა, იგი არ შუქდება არსად — არც მსოფლიოს და არც ადგილობრივ, უკრაინულ პრესაში (იგულისხმება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ცენტრალური არხები). „ახალი იერუსალიმის" პროექტის ირგვლივ ოფიციალური განცხადების გაკეთება დაგეგმილია 2022 წელს, **უკრაინის დეცენტრალიზაციის შესახებ კანონის** მიღების შემდეგ!

მივუბრუნდეთ „ნატოს"აღმოსავლეთისკენ გაფართოების საკითხს. 2021 წლის დეკემბერში გამართულ პრესკონფერენციაზე **პუტინმა** განაცხადა: „საბჭოთა კავშირს შეპირდნენ, რომ „ნატო" არ გაფართოვდებოდა აღმოსავლეთისკენ, მაგრამ **ჩვენი ქვეყანა უსინდისოდ მოატყუეს, ხალხის ენით რომ ვთქვათ, უბრალოდ, გადააგდეს**... განა ჩვენ მივედით აშშ-ის ან დიდი ბრიტანეთის საზღვრებთან, — არა, ისინი მოვიდნენ და ახლა ჩვენი სახლის ზღურბლზე დგანან"!

სწორედ ამიტომ, — მოცემული დაპირების უხეშად დარღვევის და რუსეთის უსაფრთხოებისთვის მეტად საშიში სიახლოვის გამო იყო რუსეთის პრეზიდენტის მოთხოვნა კატეგორიული: **ნატო დაუბრუნდება 1990-იანი წლების პოზიციებს და უარს იტყვის უკრაინის „ნატოში" მიღებაზე, ან თავად უკრაინა გადაიფიქრებს „ნატოში" გაწევრიანებას,** წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნები ძალით გადავჭრა ეს პრობლემა, უკან დასახევი გზა მე აღარ მაქვს, რუსეთის საზღვრებთან „ნატოს" რაკეტებს, რომლებიც 5-7 წუთში მოაღწევენ მოსკოვამდე, მე არ დავუშვებ და, თუკი რუსეთის არსებობას საფრთხე დაემუქრება, ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა, ბირთვულ იარაღსაც გამოვიყენებო!

„ნატოში" უკვე მიღებული 14 სახელმწიფოსთვის წევრობაზე უარის თქმა ნაკლებად მოსალოდნელი იყო, მაგრამ უკრაინის არმიღებაზე დათანხმება კი, სავსებით რეალური ჩანდა, მით უფრო, რომ რუსეთის მოთხოვნები არგუმენტირებული იყო.

2021 წლის 17 დეკემბრიდან, ანუ პუტინის განცხადებიდან 2022 წლის 24 თებერვლამდე, ანუ უკრაინაში შეჭრამდე, 65 (!) დღის განმავლობაში რუსეთი ელოდებოდა, რომ ან ამერიკა მოეგებოდა გონს ან — უკრაინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა: „ჩვენ არავითარი პირობა არ მიგვიცია და, ამიტომ გავაგრძელებთ აღმოსავლეთისკენ გაფართოებასო (ანუ უკრაინასთან ერთად მოლდოვას და საქართველოს მიღებასაცო, — **იენს სტოლტენბერგი),** ხოლო უკრაინამ: ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ და „ნატოში" შესვლა ჩვენი სუვერენული უფლებააო **(ვლადიმირ ზელენსკი).**

რუსეთის მხრიდან ე.წ. სამხედრო სპეცოპერაციის დაწყებამდე, ანუ პირველი ნამდვილი „ბომბის გასკდომამდე" ერთი კვირით ადრე, ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციული „ბომბი გასკდა", — **ნათელი მოეფინა „ნატოს" გაფართოებასთან დაკავშირებით ვინ ამბობდა სიმართლეს და, ვინ ტყუოდა 30 წლის განმავლობაში!**

გერმანულ ჟურნალში — Der Spiegel-გამოქვეყნდა წერილი შემდეგი სათაურით:



**რუსები და უკრაინელები თითქმის ისეთივე სათაგურში მოხვდნენ, როგორშიც 1917 წელს, როდესაც მოძმე სლავი ხალხები, ებრაელი პროპაგანდისტების მიერ წითლებად და თეთრებად გაყოფილები, ერთმანეთს ხოცავდნენ, რათა ხელისუფლებაში ბოლშევიკები მოეყვანათ, რომელთა ზემდგომი ფენა თითქმის მთლიანად ებრაელებისგან შედგებოდა.**

**„აღმოჩენილი 1991 წლის დოკუმენტით დასტურდება რუსეთის მხრიდან წამოყენებული ბრალდებები".** ბოსტონის უნივერსიტეტის პროფესორმა, ისტორიკოსმა და „ცივი ომის" მკვლევარმა **ჯოშუა შიფრინსონმა** დიდი ბრიტანეთის ეროვნულ არქივში მიაკვლია დოკუმენტს, რომელიც შეიცავს 1991 წლის 6 მარტს ბონში აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და გფრ-ის საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლების შეხვედრის პროტოკოლს. მას შემდეგ ეს დოკუმენტი ინახებოდა არქივში, გრიფით — „საიდუმლო".

ამ დოკუმენტით უცილობლად დასტურდება ის ფაქტი, რომ დასავლეთმა ნამდვილად მისცა სსრკ-ს აღმოსავლეთისკენ „ნატოს" არგაფართოების გარანტიები. აი, რას ამბობს გფრ-ის წარმომადგენელი **იურგენ ხრობოგი: „2 + 4" მოლაპარაკებებზე (გფრ, გდრ + აშშ, სსრკ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) ჩვენ გარკვევით განვმარტეთ, რომ ელბის იქით „ნატო" არ გაფართოვდება. ამიტომ, ჩვენ არ შეგვიძლია პოლონეთს და სხვებს შევთავაზოთ „ნატოს" წევრობა".** გერმანელს კვერს უკრავს ამერიკელი **რაიმონდ ზეიტცი: „2+4" ფორმატის და, ასევე სხვა შეხვედრებზე, სსრკ-ს ჩვენ გავაგებინეთ, რომ არ ვაპირებთ რაიმე სარგებლის ნახვას საბჭოთა ჯარების გაყვანით აღმოსავლეთ ევროპიდან, „ნატო" არ უნდა გაფართოვდეს აღმოსავლეთით არც ფორმალურად და არც არაოფიციალურად"!**

ეს დაპირება, რომელიც გერმანიის გაერთიანებაზე თანხმობის სანაცვლოდ მიეცა საბჭოთა კავშირს, **ჯოშუა შიფრინსონის** აზრით სავსებით ჯდება ე.წ. **oral contact**-ში — ზეპირი, სიტყვიერი შეთანხმების ცნებაში. ეს, რაც შეეხება აშშ-„ნატოს" სიტყვის კაცობას.

ახლა კი, — რუსეთ-უკრაინას შორის ატეხილი ომის შესახებ. მე არ დავიწყებ იმის მტკიცებას, თუ ვის მხარესაა სიმართლე, მკითხველმა თავად უნდა გამოიტანოს სწორი დასკვნა მიწოდებული ინფორმაციიდან (არაობიექტურობაში და ფაქტების შელამაზებაში, დარწმუნებული ვარ, ვერავინ დამდებს ბრალს).

Der Spiegel-ში გამოქვეყნებული დოკუმენტის შემდეგ, თითქოს, შუბლის ძარღვი უნდა შეტოკებოდა ტყუილში გამოჭერილ ამერიკა-„ნატოს", ცოტათი უკან უნდა დაეხია და რუსეთის ერთი მოთხოვნა მაინც — უკრაინის „ნატოში" არმიღებასთან დაკავშირებით დაეკმაყოფილებინა, მაგრამ, — არა, არც უფიქრიათ!

ჰოდა, **„თუ ომი გარდუვალია, უნდა დაარტყა პირველმა",** — განაცხადა აქსიომატური ჭეშმარიტება **პუტინმა.** ყველას მოეხსენება, რომ ნებისმიერ ომში, ისევე, როგორც ჩხუბში, პირველი დამრტყმელი, მით უფრო, თუ მოულოდნელად დაარტყა, უსათუოდ მოიპოვებს ხოლმე უპირატესობას. პირველი დარტყმით პუტინმა მართლაც მოიპოვა გარკვეული უპირატესობა და დონბასის მოსახლეობაც დაიცვა „აზოვის" ბატალიონის დაგეგმილი თავდასხმისგან, მაგრამ სანაცვლოდ მიიღო აგრესორის, ომის წამომწყების სახელი. რაც შეეხება მოულოდნელობას, რუსეთის შეჭრა სრულებითაც არ იყო მოულოდნელი, „ნატოს" და ზელენსკის მიერ გაცემული მტკიცე უარის შემდეგ უკრაინაში ყოველდღე ელოდნენ რუსეთის შეჭრას. ვაშინგტონ პოსტისთვის" მიცემულ ინტერვიუში ზელენსკიმ კიდეც დაადასტურა, რომ აშშ-მა გააფრთხილა იგი რუსეთის მხრიდან სპეციალური სამხედრო ოპერაციის დაწყების შესახებ, მაგრამ მაინც მიიღო გადაწყვეტილება არ მოეხდინა მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაცია **(რაღა სააკაშვილი და, რაღა ზელენსკი!).**

ახლა, დავუშვათ, რომ რუსეთი არ შეჭრილიყო უკრაინაში და დალოდებოდა მოვლენების განვითარებას, ანუ „აზოველების" თავდასხმას დონბასზე და, მხოლოდ ამის შემდეგ ჩართულიყო უკვე გაჩაღებულ საომარ მოქმედებებში. ასეთ შემთხვევაში, რუსეთს თავის გასამართლებელი მიზეზიც ექნებოდა — იძულებული ვიყავი რუსი მოსახლეობის დასაცავად ჩავრეულიყავიო და, ამით მსოფლიო საზოგადოების თვალში მოიგებდა კიდეც, — დაახლოებით, ისევე, როგორც 08.08.2008 წლის ომში, როცა „რუსი სამშვიდობოების დაცვით" გაამართლა საქართველოში შემოჭრა (საერთაშორისო კომისიამაც რუსეთს მხოლოდ გადამეტებაში, ზედმეტი ტერიტორიების ოკუპაციაში დასდო ბრალი და, არა — შემოჭრაში). მაგრამ, პუტინი ასე არ მოიქცა, მსოფლიო საზოგადოების აზრს მან უპირატესობის მოპოვება და დონბასელების გადარჩენა ამჯობინა. ვფიქრობ, ეს შეცდომა იყო!

მაგრამ, მოდით უფრო გავამარტივოთ პრობლემა, დავუშვათ: არც რუსულ ენას კრძალავდა უკრაინის ხელისუფლება და არც რუსი ეროვნების მოსახლეობას ავიწროებდა ვინმე, არც სამამულო ომში დაღუპული რუსი ჯარისკაცების და მხედართმთავრების ძეგლებს ანგრევდა და არც საფლავებს შეურაცხყოფდა, არც რუსეთის საწინააღმდეგო ფაშისტურ რიტორიკას და მსვლელობებს ჰქონია ადგილი და არც რუსებით დასახლებული დონბასი იბომბებოდა რვა წლის განმავლობაში... ერთი სიტყვით, რუსეთს არავითარი საბაბი არ ჰქონდა უკრაინაში შესაჭრელად. მას მხოლოდ ერთი რამ ადარდებდა — უკრაინის „ნატოში" გაწევრება და მოსალოდნელი შედეგები — „ნატოს" რაკეტების რუსეთის საზღვართან განლაგება. და, როდესაც ასეთი არასახარბიელო მომავლით შეშფოთებული რუსეთის პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი თვეების განმავლობაში ერთი და იგივეს იმეორებენ: გაფრთხილებთ, ნუ გადადგამთ ამ ნაბიჯს, ნუ დაიჩემებთ „ნატოში" გაწევრებას და ჩვენთან — მეზობელ და მოძმე რუს ხალხთან დაპირისპირებას, თორემ იძულებული ვიქნებით სამხედრო ძალის გამოყენებით გადაგათქმევინოთ ეს აკვიატებული სურვილიო, — ამაზე კი, უკრაინის მხარე აგდებულად პასუხობს: მხოლოდ ჩემი გადასაწყვეტია რომელ ორგანიზაციაში გავწევრდები და ომით ნუ გვაშინებთ, მზად ვართ საკადრისი პასუხი გაგცეთ და, თავადაც გვაქვს წითელ მოედანზე ტანკებით გასეირნების სურვილიო, — იქ უკვე ყველაფერი ნათელია, უკრაინის პრეზიდენტი და მისი გარემოცვა ამერიკის (მთლიანად დასავლეთის) აშკარა მხარდაჭერით გულმოცემულ-გაბრუებული, იმდენად არაადეკვატურია, რომ მართლა ფიქრობს მასზე ბევრად ძლიერი და უზარმაზარი რუსეთის(!) დამარცხებაზე, ხოლო თავისი ქვეყანა და უკრაინელი ხალხი კი აღარ ახსოვს ან მისი ბედი დიდად არც ანაღვლებს!



**იაკობ ლეჟავა,**
**23 აგვისტო, 2022**
**(გაგრძელება იქნება)**

# რუსეთს ომამდე არსებული რაკეტების 45 პროცენტი აქვს დარჩენილი!..

**უკრაინის დაზვერვა აცხადებს, რომ რუსეთს ომამდე არსებული რაკეტების 45% აქვს დარჩენილი.**

აღნიშნულის შესახებ უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მთავარი სადაზვერვო დეპარტამენტის წარმომადგენელმა!.. ვადიმ სკიბიცკიმ განაცხადა.

**„ჩვენი გათვლებით, მათ დარჩათ არაუმეტეს 45% რაკეტებისა, რომლებიც მათ ომის დაწყებამდე ჰქონდათ. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა „ისქანდერებთან" დაკავშირებით, მათ დარჩათ დაახლოებით 20%, რაც ჰქონდათ და შესაძლოა, ნაკლებიც",** — განაცხადა მან. სკიბიცკიმ აღნიშნა, რომ რუსეთში რთული ვითარებაა ასევე „კალიბრებთან" დაკავშირებით, იწურება X-22 და S-300 რაკეტების მარაგიც.

**„მათ უკვე აქვთ მაღალი სიზუსტის იარაღის ნაკლებობა. ყველა ნორმატიული დოკუმენტის მიხედვით, მათ უნდა ჰქონდეთ 30%-ის რეზერვი, ზოგიერთი ტიპის რაკეტებისთვის კი, უკვე თითქმის არ არის. მაგალითად, იგივე „ისქანდერებისთვის",** — აცხადებენ უკრაინის დაზვერვაში. უკრაინის დაზვერვის მონაცემებით, რუსეთს ასევე „კინჟალის" ტიპის რაკეტების სიმცირეც აქვთ.



**„ცოტაა, 30-40 ცალი. ეს ის ნიმუშებია, რომლებიც პირველად შევიდნენ შეიარაღებაში. არ მომხდარა მათი მასობრივი წარმოება. ისინი მათ იყენებდნენ, ეფექტური იარაღია, მაგრამ გამოიყენება ძალის დემონსტრირებისთვის",** — ამბობს სკიბიცკი.

# უკრაინიდან პოლონეთის მიმართულებით, საზღვრის კვეთის მილიონობით შემთხვევა დადასტურდა

**პოლონეთის სასაზღვრო დაცვის სამსახურის ინფორმაციით, 24 თებერვლიდან, 5,8 მილიონზე მეტმა ადამიანმა დატოვა უკრაინა და პოლონეთში გადავიდა, ამასთან, თითქმის 4 მილიონმა ადამიანმა საზღვარი საპირისპირო მიმართულებით გადაკვეთა.**

# ყველასათვის ვიზების აკრძალვა სისულელეა!

**პარიზი და ბერლინი რუსეთის ყველა მოქალაქისთვის ევროკავშირის ვიზების გაცემის აკრძალვას მხარს არ უჭერენ. საფრანგეთი და გერმანია მიიჩნევენ, რომ ვიზები მხოლოდ რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული პირებისთვის უნდა იყოს შეზღუდული, სტუდენტებს, მეცნიერებს, ხელოვანებსა და სხვა კატეგორიის ჯგუფებს კი ევროკავშირის ტერიტორიაზე შესვლა არ უნდა აეკრძალოთ.**

რუსეთის მოქალაქეებზე შენგენის ვიზების გაცემის აკრძალვის საკითხს ევროპის პირველი დიპლომატები 31 აგვისტოს, პრაღის არაფორმალურ სამიტზე განიხილავენ.

# „ახალი კუმისი“ გაძარცვულ ნასახლარს ემსგავსება!

**ბატონო პრემიერო, ძვირფასო ირაკლი!**

**მე, ხანდაზმული და მრავალჭირგადანახადი ქალი ლიდა (ლილი) ჯანგველაძე დედაშვილურად გთხოვთ, რომ ეს პატარა წერილი წაიკითხოთ და „ახალი კუმისელების“ პრობლემა გაითავისოთ!**

შეგახსენებთ, რომ დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინათ, თბილისთან ახლოს, კუმისის ტბის მიმდებარე ტერიტორია აგარაკებად გადაეცა დედაქალაქის სხვადასხვა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებს. ბუნებრივია, მაშინდელმა მთავრობამ გაიყვანა სასმელი წყალი, შუქი, გზა და ავტობუსის ახალი მარშრუტიც დანიშნა!

გასული საუკუნის 90-იან წლებამდე კუმისის აგარაკები ნამდვილ ბაღნარად იქცა... 2008 წლის 4 მარტის სამთავრობო გადაწყვეტილებით, კუმისის ტბის ამ პატარა დასახლებას ოფიციალურად ეწოდა სოფელი „ახალი კუმისი“, თუმცაღა, ქვეყანაში გაჩაღებული 90-იან წლების სამოქალაქო დაპირისპირების, შემდეგ 2008 წლის აგვისტოს ომის დამანგრეველი მოვლენების გამო, ვერავინ მოახერხა კუმისისკენ მიმავალი გზის განახლება-რეაბილიტაცია, „დაიკარგა“ წყალიც, ადგილობრივთა ხელისუფლებისადმი თხოვნა-მუდარის სურვილიც! დღეს „ახალი კუმისი“ გაძარცვულ ნასახლარს დაემსგავსა, სიცოცხლე თანდათან დაიშრიტა, სოფელში ქართველთა რაოდენობა შემცირდა და... უკანონო „მოაგარაკენიც“ გამოჩნდნენ!..

ბატონო ირაკლი, უმორჩილესად გთხოვთ, დაავალოთ მთავრობის შესაბამის სამსახურებს, გარდაბნის რაიონის ხელმძღვანელობას, რომ სოფელ კუმისს ახალი სიცოცხლე დაუბრუნდეს. ჩვენ მხოლოდ გზის და წყლის აღდგენას ვითხოვთ.

ვითხოვთ და გვჯერა, რომ ხალხზე მზრუნველი „ქართული ოცნების“ მთავრობა, პატრიოტი და ვაჟკაცი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ერთი უპატრონოდ მიგდებული სოფლის განახლებას აუცილებლად შეძლებს...

გფარავდეთ ღმერთი! წინასწარ დიდ მადლობას მოგახსენებთ!

**კუმისელთა სახელით**

**ლიდა ჯანგველაძე,**

**არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ნაპერწკალის“ დამფუძნებელი, დამსახურებული ბიბლიოთეკარი.**

**(ტელ: 558.67.75.84).**

# როგორ ბაირამოვები ბაირამობენ ქართულ ოჯახზე!

## ღია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს, ბატონ ვახტანგ გომელაურს

**ბატონებო, ჩემს გარშემო შექმნილი მდგომარეობის გამო, იძულებული ვარ შეგაწუხოთ!**

მე გახლავართ 82 წლის პენსიონერი პედაგოგი, წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად ვემსახურე ქვეყნის საქმეს სკოლაში, რაიონის განათლების განყოფილებაში, პარტიის რაიკომში, რაიონის გამგეობაში, საიდანაც გავედი პენსიაზე, მიღებული მაქვს სამთავრობო ჯილდო — „სახალხო განათლების წარჩინებული“. განათლების სფეროში მიმდინარე უსასრულო რეფორმების პირობებში, რამდენიმე ჩემი წინადადება იქნა მიღებული და პრაქტიკაში განხორციელებული.

ჩემი უკიდურესი წუხილი და შეშფოთება მდგომარეობს იმაში, რომ 2020 წლის მარტში გარდაბანში მცხოვრებმა სარხან ბაირამოვმა გადამიწვა ჩემი ნალოლიავები სრულმოსავლიანი ხეხილის ბაღი და ვენახი!

მოგეხსენებათ, ბატონებო, პენსიით და პედაგოგის მწირი ხელფასით, რამდენად შესაძლებელია ოჯახის რჩენა. ჩემი შემოსავლის მთავარი წყარო იყო ბაღი, რომელიც განადგურდა.

მე პირადად გადატანილი მაქვს მწვავე ინფარქტი, ხოლო ჩემმა მეუღლემ ამ ვითარების გამო ნერვიულობის ნიადაგზე მიიღო ინსულტი. ასე რომ, ჩემი ოჯახი დაზარალდა, როგორც მატერიალურად, ასევე მორალურად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შესახებ სამი წელია განგაშს ვტეხ შს გარდაბნის სამმართველოში და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, მაგრამ მათგან რეაგირებაც არ ყოფილა! გამოუვალი მდგომარეობის გამო, გადავწყვიტე, გამომეცხადებინა შიმშილობა. მე კი მკურნალი ექიმის რეკომენდაციით აკრძალული მაქვს ნერვიულობა, გადაღლა და მგზავრობაც კი, ამიტომ ვერ შევძელი 27.12.21წ. მინისტრის მისაღებში შიმშილობის დაწყება!

**ბატონო ვახტანგ**, 30.03. 2022 წ, თქვენთან შემოვიდა ჩემი მე-4 განცხადება პირად მიღებაზე №824334, არც ამაზე არის დღემდე რეაგირება. პასუხის შესახებ როცა მოვიკითხე ტელეფონით, გენინსპექციაში ბატონ ლაშა ფეიქრიშვილთან და ბექა ედიბერიძესთან, დაცინვით მიპასუხეს — „რეაგირება იქნება ელვისებური“ ?!).

გვავიწდება, რომ ბოროტმოქმედების ყველაზე დიდი წახალისება, მათი დაუსჯელობაა!

ბატონებო, ალბათ გაინტერესებთ გარდაბნის შს სამმართველოს მუშაკების რეაგირება ამ საკითხზე: ბესო დვალიძე: „მამის ავადმყოფობის გამო მაქვს ეკონომიური საჭიროება და ჯერ-ჯერობით ვერაფერს გეტყვით“ (2020 წლის ივლისის თვე).

გამომძიებლები თეა გიორგობიანი და შორენა ნაცვლიშვილი 2 წელია ამტვრევენ ღია კარებს, ეძებენ თვითმხილველებს, როცა დამნაშავე სარხან ბაირამოვი, მამა და ძმა მიშა და ზამან ბაირამოვები თვითონვე აღიარებენ, რომ ბაღი სარხან ბაირამოვმა გადაწვა. ყველაზე უტყუარი აღიარება არის ფაქტი, რომ შემოღობვა, რომელიც სრულად განადგურდა, სარხან, მიშა და ზამან ბაირამოვებმა თავიანთი ძალებით, როგორც მოახერხეს, თვითონვე შეაკეთეს.

**გაუგონარი რამ ხდება, დამნაშავე აღიარებს დანაშაულს, ხოლო გამომძიებლები დარბიან და თვითმხილველს ეძებენ?! ხელს აფარებენ დამნაშავეს, ხოლო დაზარალებულს აბუჩად იგდებენ!**

მე ვითხოვდი ჩემი პირადი საკუთრების ხელყოფა-განადგურების, მატერიალური და მორალური ზიანის მიყენებისათვის მკაცრად დაესაჯათ სარხან ბაირამოვი და აენაზღაურებინა მიყენებული ზარალი.

ბატონო ირაკლი, გარდაბნის შს სამმართველოს მუშაკებმა, ბაირამოვების ოჯახმა და მათმა თანამოძმეებმა, შსს თანამშრომლებთან ერთად, 2020 წლის მარტიდან დღემდე მიაღწიეს იმას, რომ ხანდაზმულ, ღვაწლმოსილ, ავადმყოფ კაცს სრულად დამიკარგეს რწმენა საქართველოში სამართლის არსებობის შესახებ!!

ბატონო ირაკლი, იმედი მაქვს თქვენი ობიექტური და დროული რეაგირებისა!

**პატივისცემით**

**ბონდო კალანდაძე**

**ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის 20/18**

**№ 579 111 441**



# მშობლებს ონლაინ-სწავლების არჩევის შესაძლებლობა აღარ ექნებათ

# სწავლა 15 სექტემბერს დაიწყება!

**ექნებათ თუ არა სკოლის მოსწავლეთა მშობლებს არჩევანის გაკეთების საშუალება ონლაინ და საკლასო ოთახებში სწავლების ფორმებს შორის, როგორც ეს გასული ორი წლის განმავლობაში იყო?**

ამ კითხვაზე განათლებისა და ჯანდაცვის სამინისტროები ამ ეტაპზე არ პასუხობენ და აცხადებენ, რომ გადაწყვეტილებას უახლოეს პერიოდში, კონსულტაციების შედეგად მიიღებენ და საზოგადოებას აცნობებენ, თუმცა როგორც ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამარ გაბუნია ამბობს, საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა რეკომენდაციებსაც საქართველო მიჰყვება, დამატებითი რეგულაციების შემოღების საჭიროებას და ასევე პირბადის ტარების ვალდებულების დაბრუნების აუცილებლობას ვერ ხედავენ. ამიტომ ისინი საბაზისო, ჰიგიენური ნორმების გარდა, სხვა ზომების შემოღების რეკომენდაციებს არ გასცემენ.

**„ვფიქრობთ, რომ სექტემბრიდან სასწავლო პროცესი ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება,“** — განაცხადა თამარ გაბუნიამ საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის მიცემულ ინტერვიუში. ამასთან, მისივე თქმით, აღნიშნულ თემებზე კონსულტაციები გრძელდება და დეტალები დაზუსტდება. როგორც მინისტრის მოადგილემ ხაზგასმით აღნიშნა, სხვა ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს, რომ ამ ეტაპზე კორონავირუსის მიმდინარეობა უმეტეს შემთხვევებში მსუბუქია, ჰოსპიტალიზაცია კი მინიმალურია, ამიტომაც თამარ გაბუნია ელოდება, რომ ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა სასწავლო პროცესზე არანაირ გავლენას არ მოახდენს.

**„ბოლო ერთი თვის განმავლობაში კოვიდის შემთხვევების სტაბილიზაცია გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ საკურორტო სეზონიდან გამომდინარე, მობილობა ძალიან მაღალია და აქტივობა უმაღლეს დონეზეა, შემთხვევების მატების სურათი ნამდვილად არ არის. პირიქით: ერთი თვის წინანდელ მაჩვენებელთან შედარებით მცირედით კლების ტენდენციაც კი შეინიშნება, რაც მიუთითებს იმაზე, რომ სურათი არის სრულად კონტროლირებადი. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და ამერიკის დაავადების კონტროლის ცენტრები ამსუბუქებენ რეგულაციებს. გამომდინარე აქედან, ვფიქრობთ, რომ შესაძლებელი იქნება, დღეს არსებული პირობების ფარგლებში მოხდეს სასწავლო პროცესის დაწყება და ასევე სხვა ჩვეულებრივი ბიზნესაქტივობების გაგრძელება,“** — განაცხადა თამარ გაბუნიამ.

შეგახსენებთ, რომ პანდემიის პერიოდში მუშაობდა სპეციალური პორტალი, რომელზეც, სურვილის შემთხვევაში მშობელს შეეძლო სწავლების ონლაინ-ფორმა აერჩია. ახალი სასწავლო წელი 2022 წლის 15 სექტემბერს განახლდება.



# ხილში, ბოსტნეულსა და ბაღჩეულში პესტიციდების შემცველობა არ შეინიშნება!

მიმდინარე წელს, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ პესტიციდების ნარჩენების შემცველობაზე შესამოწმებლად, სარეალიზაციო ობიექტებიდან ადგილობრივი წარმოების ხილის, ბოსტნეულისა და ბაღჩეულის 108 ნიმუში აიღო.

**„ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგად, პესტიციდების შემცველობა არც ერთ ნიმუშში არ გამოვლენილა. ტესტირება ჩატარდა 68 მოქმედ ნივთიერებაზე, მათ შორის, ქლორორგანულ და ფოსფორორგანულ, ასევე, დითიოკარბამატულ პესტიციდებზე. გამოკვლეულია ხილისა (ატამი, ვაშლი, ვაშლატამა) და კენკროვნების 44 ნიმუში, ბოსტნეულის (კარტოფილი, კიტრი, პომიდორი) 13 და ბაღჩეულის (საზამთრო, ნესვი) 51 ნიმუში.**

**სურსათში პესტიციდების ნარჩენების დონე რეგულირდება „მცენარეული და ცხოველური წარმოშობის სურსათში/ცხოველის საკვებში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის შესახებ ტექნიკური რეგლამენტით“, რომელიც საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის №623 დადგენილებით არის დამტკიცებული.**

**ალსანიშნავია, რომ ბოლო წლებში, სურსათის ნიმუშებში პესტიციდების შემცველობა არ დადასტურებულა, რაც ფერმერთა ინფორმირებულობის გაზრდის და სურსათის ეროვნული სააგენტოს გააქტიურებული სახელმწიფო კონტროლის შედეგია.**

**2022 წელს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის ლაბორატორიული გამოკვლევის მიზნით, სააგენტოს მიერ დაგეგმილია არაცხოველური წარმოშობის სურსათის 236 და ცხოველური წარმოშობის სურსათის 102 ნიმუშის (სულ 338 ნიმუში) ლაბორატორიული ტესტირება.**

**დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვლადიმერ ბალაძეს – თბილისისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტების ახალგაზრდა თაობის ღირსეულ აღმზრდელსა და სამეცნიერო ხელმძღვანელს.**

ვ. ბალაძემ დაამთავრა გეგელიძეების 8-წლიანი და ცხმორისის საშუალო სკოლები, შემდგომში სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე და მიენიჭა მათემატიკოსის კვალიფიკაცია.

1976 წლიდან არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა.რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტი (ხელმძღვანელები აკად. გ. ჭოღოშვილი და პროფ. ლ. ზამბახიძე). წარმატებით დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები:

„სივრცეთა და კომპლექსთა გამოყოფილ კლასებზე დაფუძნებული განზომილებისნაირი ფუნქციების შესახებ“, თსუ, 1980; „ტოპოლოგიური სივრცეების და უწყვეტი ასახვების რეზოლვენტები და მათი გამოყენებანი სპექტრალურ ჰომოტოპიურ თეორიაში“, თსუ 1993.

მრავალფეროვანია ვ. ბალაძის სამეცნიერო ინტერესების სფერო (ზოგადი ტოპოლოგია (განზომილების თეორია, უწყვეტ გარდაქმნათა ჯგუფების თეორია), ალგებრული ტოპოლოგია (ჰომოლოგიის თეორია, ჰომოტოპიის თეორია), გეომეტრიული ტოპოლოგია (რეტრაქტების თეორია, შეიპების თეორია) და კატეგორიათა თეორია).

პროფ. ვ. ბალაძეს აქვს მრავალმხრივი სამეცნიერო პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება:

2021 წლიდან დღემდე არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტი;

2013-2018 წლებში იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათმატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარე;

2018 წლიდან დღემდე არის ბათუმის უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე;

2008 წლიდან დღემდე არის ბათუმის უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი;

2008-2013 წლებში იყო საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი;

2006-2007 წლებში იყო ბათუმის უნივერსიტეტის რექტორი, სრული პროფესორი;

2004-2006 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ph.m01.04.№3 სადისერტაციო საბჭოს წევრი;

1996-2005 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრის, პროფესორი;

1991-2004 წლებში იყო ბათუმის უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის, დოცენტი, პროფესორი (პროფესორის სრული აკადემიური შტატი, შეთავსებით);

1983-1996 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრის დოცენტი;

1980-1983 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრის ასისტენტი;

1976-1980 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრა-გეომეტრიის განყოფილების ასპირანტი;

1974-1976 წლებში იყო თბილისის ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-მუშაკი;

პროფ ვ. ბალაძე წლების განმავლობაში ეწევა მნიშვნელოვან და ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას. მისი პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა უპირველესად უკავშირდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტს, სადაც იგი წლების განმავლობაში კითხულობდა ძირითად კურსს ტოპოლოგიაში და სპეციალურ კურსებს ალგებრულ ტოპოლოგიაში, გეომეტრიულ ტოპოლოგიასა და ზოგად ტოპოლოგიაში.

ვ. ბალაძის აქტიური პედაგოგიური საქმიანობა პარალელურად მიმდინარეობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც 1991-2004 წლებში, ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე პერიოდში მიყავდა იგივე მათემატიკური კურსები.

ვ. ბალაძეს მიაჩნია, რომ მის ყველაზე დიდ მიღწევად ითვლება ტოპოლოგიის იმ კურსის წაყვანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელსაც რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა აკად. გიორგი ჭოღოშვილი. ბატონ გიორგის დაჟინებული მოთხოვნით და ალგებრა-გეომეტრიის კათედრის გადაწყვეტილებით ვ.ბალაძეს დაევალა ძირითადი ტოპოლოგიური კურსის წაყვანა მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მათემატიკის სპეციალობის სტუდენტებისთვის. ამ ორ უნივერსიტეტში ვ.ბალაძის პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგს წარმოადგენს მის მიერ პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოს შექმნა ტოპოლოგიაში, რომელიც განკუთვნილია მათემატიკის და ფიზიკის სპეციალობების ბაკალავრ, მაგისტრანტ და დოქტორანტ სტუდენტთათვის და, საერთოდ, მკითხველთა ფართო წრისათვის, რომელთაც აქვთ ტოპოლოგიის სისტემატურად შესწავლის სურვილი.

ვ. ბალაძის მთავარ სამეცნიერო მიღწევად ითვლება საქართველოში გეომეტრიული ტოპოლოგიის განვითარება, ბათუმში კი გეომეტრიული ტოპოლოგიის სკოლის შექმნა. ის არის ხელმძღვანელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სამეცნიერო სემინარისა.



# სახელოვანი მათემატიკოსი

## ბათუმის შოთა რუსთაველისა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტების სტუდენტთა დიდი მეგობარი

ვ. ბალაძის შრომების პირველი ციკლი ეხება სივრცეთა კლასის მოდულით განზომილების თეორიას. მასში გამოკვლეულია მცირე ინდუქციური, დიდი ინდუქციური და დაფარვითი მოდულარული განზომილებები, რომლებიც წარმოადგენს განზომილების ტიპის ფუნქციებს და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კლასიკურ განზომილების თეორიაში აღმოცენებული ამოცანების კვლევაში. ავტორმა დაადგინა მათი ძირითადი თვისებები და კავშირები კლასიკურ ინდუქციურ და ლებეგის განზომილებებთან, უწყვეტი ასახვის განზომილებასთან და ჯერადობასთან და, როგორც შედეგი, მიიღო დიდი ინდუქციური განზომილების აქსიომატური დახასიათება, სივრცეთა ლებეგის განზომილებებისა და უწყვეტი ასახვის განზომილების შესახებ მორიტას თეორემის განზოგადება, სივრცეთა ნაზრდების განზომილებებისა და კომბინატორული თვისებების დახასიათებანი...

ვ. ბალაძის შრომების მეორე ციკლში, რომელიც ეხება გეომეტრიული ტოპოლოგიის ახალ მიმართულებას – შეიპების თეორიას, განმარტებულია ლოკალურად კომპაქტური სივრცის საკუთრივი რეზოლვენტა და დამტკიცებულია მისი არსებობის თეორემა. სივრცის საკუთრივი რეზოლვენტის ცნება მიეკუთვნება შეიპების თეორიის მნიშვნელოვან ცნებებს. მისი ერთ-ერთი მთავარი თვისება ისაა, რომ იგი ინდუცირებს სივრცის გაფართოებას ლოკალურად კომპაქტური პოლიედრების ჰომოტოპიური ტიპის მქონე სივრცეთა საკუთრივი ჰომოტოპიური ქვეკატეგორიის მიმართ. ეს შედეგი გახდა ლოკალურად კომპაქტურ სივრცეთა შეიპური თეორიის, ე.წ. საკუთრივი შეიპური თეორიის, აგების საფუძველი.

ვ. ბალაძის შრომების მესამე ციკლში, რომელიც ეხება ფიბრაციულ შეიპურ თეორიას, განვითარებულია უწყვეტ ასახვათა გეომეტრიული თეორია რეტრაქტების პრობლემის თვალსაზრისით. ავტორის მიერ განმარტებულია სხვადასხვა კლასის უწყვეტ ასახვათა აბსოლუტური (მიდამოებრივი) რეტრაქტები და აბსოლუტური (მიდამოებრივი) ექსტენზორები და დადგენილია მათი ძირითადი თვისებები. ეს თვისებები არსებით როლს თამაშობენ უწყვეტ ასახვათა ფიბრაციული რეზოლვენტების არსებობის თეორემების დამტკიცებისას. უწყვეტ ასახვათა რეტრაქტებისა და ექსტენზორების გამოკვლევები უკავშირდება ა. დოლდის, გ. ნ. ნეპომნიაშჩისა და ი.მ. სმირნოვის, გ. ს. უნგარის, ტ.იაგასაკის, ი. მ. ჯეიმსის, ვ. ვ. ფედორჩუკისა და ა. ჩიგოგიძის შრომებს, რომლებშიც ასახვათა რეტრაქტები და ექსტენზორები შესწავლილი იყო ევკლიდური სივრცის ქვესივრცეების, მეტრიკული კომპაქტური სივრცეების და მეტრიკული სივრცეების ასახვების კლასებისთვის. ვ. ბალაძის შრომებში შეიქმნა ასახვათა რეტრაქტების ზოგადი თეორია და, მის საფუძველზე, ნებისმიერ უწყვეტ ასახვათა ფიბრაციული შეიპური თეორია, რომელიც წარმოადგენს ტ. იაგასაკის, ჰ. კატოს, მ. კლაპისა და ლ. მონტეჯანოს ფიბრაციული კომპაქტური და ფიბრაციული მეტრიკული შეიპური თეორიების შინაარსიან გაფართოებას.

ვ. ბალაძემ და მისმა ბათუმელმა მოსწავლეებმა, 2000 წლიდან მოყოლებული, დაიწყეს ჰომოლოგიის მნიშვნელოვანი თეორიის – ალექსანდერ-სპანიერის კოჰომოლოგიის თეორიის სისტემატური გამოკვლევა. მის მიერ ნორმალური დაფარვების მეშვეობით აიგო ნებისმიერ ტოპოლოგიურ სივრცეთა P-ჩადგმადი ჩაკეტილი წყვილების კატეგორიაზე ალექსანდერ-სპანიერის ნორმალური კოჰომოლოგიური თეორია და დაამტკიცა იზომორფიზმი ამ თეორიასა და ალექსანდროვ-ჩეხის ნორმალურ კოჰომოლოგიურ თეორიას შორის. ამ ფაქტმა, მის მოსწავლეებს და ლ. მძინარიშვილს მისცა ნორმალური ალექსანდერ-სპანიერის ზუსტი ჰომოლოგიის თეორიის აგების და აქსიომატური დახასიათების საშუალება.

თანაბარ შეიპურ თეორიასთან დაკავშირებულ შრომების ციკლში ვ. ბალაძე ავითარებს პრეკომპაქტურ თანაბარ სივრცეთა შეიპურ თეორიას, რომლის მეთოდები იძლევა სავსებით რეგულარულ სივრცეთა შინაგანი თვისებების მეშვეობით კომპაქტიფიკაციებისა და ნაზრდების შეიპების, (კო)ჰომოლოგიური და (კო)ჰომოტოპიური ჯგუფების დახასიათების საშუალებას. ამ ციკლის შრომებში ავტორმა გამოიკვლია ი. მ. სმირნოვის ცნობილი პრობლემა:

**ვიპოვოთ ის აუცილებელი და საკმარისი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სივრცეებს გააჩნდეთ მოცემული ტოპოლოგიური თვისებების მქონე გაფართოებანი და ნაზარდები.**

ვ. ბალაძემ განავითარა ჩეხის და ჭოღოშვილის სპეტრული და პროექციული (კო) ჰომოლოგიის თეორიები. კერძოდ, ააგო მათი აქსიომატიკური დახასიათებები ფარდობითი (კო)ჰომოლოგიური ჯგუფების გამოყენების გარეშე. ამ პრობლემის გადაწყვეტაში არსებითი როლი შეასრულა მის მიერ განვითარებულმა ასახვათა აპროქსიმაციის თეორიამ.

ვ. ბალაძის შრომების შემდეგ ციკლში განვითარებულია ტოპოლოგიურ სივრცეთა კოშეიპური თეორია. ამ თეორიის მნიშვნელობას და განვითარების აუცილებლობას ხაზს უსვამს მრავალი ცნობილი ავტორი (ა. დელიანუ, ი. ტ. ლისიცა, ს.მარდეშიჩი, ტ. მიუატა, ს. ნოვაკი, ტ. პორტერი, ი. მ. სმირნოვი, პ. ჰილტონი, ჰ. ვ. ჰენი). ვ. ბალაძემ დაწვრილებით შეისწავლა ნებისმიერი კატეგორიის პირდაპირი სისტემების კატეგორიის ფაქტორ-კატეგორია; დაამტკიცა კატეგორიის ობიექტის კოგაფართოების არსებობის თეორემა; მოძებნა ის აუცილებელი და საკმარისი პირობები, რომელთა შემთხვევაში მოცემული კატეგორიისა და მისი ქვეკატეგორიის წყვილისთვის არსებობს კოშეიპური კატეგორია, ე.წ. აბსტარქტული კოშეიპური კატეგორია; დაადგინა ამ კატეგორიის მორფიზმების ეპიმორფულობის, მონომორფულობის და იზომორფულობის პირობები, რომელთა მეშვეობით გამოიკვლია ჯგუფთა პირდაპირი სისტემების მიმდევრობების სიზუსტის საკითხები. მიღებული შედეგების მნიშვნელობას განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ მათ საფუძველზე ავტორმა ააგო ტოპოლოგიური კოშეიპური კატეგორია და სასრული – კომპლექსების ქვეკატეგორიაზე განსაზღვრული ფუნქტორების კოშეიპურად ინვარიანტული და უწყვეტი გაგრძელებები; დაამტკიცა კოშეიპურ კატეგორიაში ჰურევიჩის თეორემა და სივრცეთა წყვილებისა და უწყვეტი ასახვების გრძელი ზუსტი (კო)ჰომოლოგიური და ჰომოტოპიური მიმდევრობების არსებობის თეორემები. აბსტრაქტული კოშეიპური კატეგორიის მნიშვნელობა განპირობებულია იმითაც, რომ მისი მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი გახდა ტოპოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანის – „კარგი“ თვისებების მქონე ობიექტების ქვეკატეგორიაზე განსაზღვრული ალგებრული ფუნქტორების მომცველ კატეგორიაზე გაგრძელების ამოცანის გამოკვლევა. ამ მიმართულებით ავტორის მიერ მიღებული შედეგები ა. დოლდის, დ. კანის, ს. ნ. ლისა და ფ. რაიმონდის, ტ. ვატანაბეს, ს. მარდეშიჩისა და ჯ. სეგალის მიღწევებთან ერთად წარმოადგენს ამ ამოცანის შესწავლაში შეტანილ მნიშვნელოვან წვლილს.

პროფესორი ვ.ბალაძე ტოპოლოგიის ამ მიმართულებაში არის 100-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი.

მან მონაწილეობა მიიღო 40-მდე საერთაშორისო სამეცნიერო მათემატიკურ ფორუმში, ის თვითონ გახლავთ მრავალი მათემატიკური ფორუმის ორგანიზატორი.

განსაკუთრებულია ვ. ბალაძის როლი ბათუმის უნივერსიტეტში ტოპოლოგიის სკოლის შექმნასა და განვითარებაში. მისი ხელმძღვანელობით დაცული და მომზადებულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ვ. ბალაძეს ჰყავს კარგი ოჯახი, მეუღლე – დიდარი ცინცქილაძე, ქიმიკოსი; შვილები – სოფიო ბალაძე, ექიმი; ლინდა ბალაძე, იურისტი, ეკონომისტი; ზურაბ ბალაძე, ფინანსისტი, საინჟინრო მენეჯერი; შვილიშვილები – ანა, ნინო, ნელი, ალექსანდრე ნაკაშიძეები; მარგო დიასამიძე; საბა და დაჩი ბალაძეები.

ამაგდარ მეცნიერს, ახალგაზრდობის ღირსეულ მსახურს, პროფ. ვ. ბალაძეს, ვუსურვოთ დიდი წარმატებები და ჯამრთელობა, უნივერსიტეტებისადმი ერთგულება და სიყვარული, პროფესორ-მასწავლებლებისადმი და სტუდენტებისადმი ისეთივე თანადგომა და მათი ინტერესების დაცვა როგორც ამას აკეთებდა ყოველთვის, წლების განმავლობაში.

**ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი,
მათემატიკის დეპარტამენტი.**



ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი

ძვირფასო რედაქცია, 50 წელიწადია თქვენს გაზეთს ვკითხულობ. ძალიან მხიბლავს თქვენი რუბრიკები – „გულს სიხარული აცოცხლებს“, „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“, „პუბლიცისტური ჩანაწერები“ და სხვ.

მე ქართულ მწერლობასთან და ჟურნალისტიკასთან შეზრდილი ქალი ვარ, თანაც ცნობილი მწერლისა და პუბლიცისტის კიტა ბუაჩიძის თანამეცხედრე გახლდით (გარდაიცვალა 2000 წელს)...

92 წლის ასაკშიც გულს მიხარებს კიტას და ჩემი ძველი ჩანაწერების ხილვა. ძალიან მინდა 35 წლის წინანდელი და დღეს გადამუშავებული ჩემი მოგზაურობის დღიურები „საქ. რესპუბლიკის“ მკითხველს შევთავაზო და გულწრფელად დავარწმუნო, რომ ჭკუა თავშია და არა ხანში, რომ საუკუნეს მიტანებული ადამიანიც (განსაკუთრებით გურული!) თანამედროვედ აზროვნებს...

**თინა ბარამიძე**




მონტე კარლოში, სამორინესთან...

# გულს მოგონებები აცოცხლებს!..

## კრუიზი ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში (1-23 ოქტომბერი, 1987 წ.)

როცა ერთმა ჩემმა მეგობარმა გაიგო, რომ სამოგზაუროდ ვაპირებდი წასვლას, მირჩია, დაწვრილებით ჩამეწერა ყოველდღიური შთაბეჭდილებები. ასეც მოვიქეცი!..

**კუნძულ მალტაზე 1987 წლის 4 ოქტომბერს**, ადგილობრივი დროით – 13 სთ.ზე) ჩავფრინდით. მაშინვე წაგვიყვანეს თბომავალ „არმენიაზე“, რომელმაც სახელი გაითქვა გაზეთ „იზვესტიაში“ დაბეჭდილი პუბლიკაციით. კრიტიკის მიუხედავად ხომალდი საკმაოდ სიმპათიური გვეჩვენა. თუმცა, შეგვაშფოთა იმ ამბავმა, რომ ეს „არმენიას“ ბოლო რეისი იქნებოდა, ჩამოწერას უპირებდნენ.

მშვენიერი კაიუტა შემხვდა, დიდი ილუმინატორით. ჩემი მეზობლები არიან: ლიანა კაკიტელაშვილი, გიული ტორონჯაძე და ცისანა კვარაცხელია. ყველანი კარგები, მეგობრულები, უსიტყვოდ ვუგებთ ერთმანეთს. გემზე იშვიათი წესრიგია, შესანიშნავი კვება. მაგიდასთან 6 ვსხედვართ: ხელმძღვანელი ლამარა ზამბახიძე, მისი ახლო მეგობარი დოდო იორდანიშვილი, ფაცო კიკნაძე (ასევე მეგობარი) და ორი კარგი გოგონა ლაგოდეხიდან – ნონა და მზია. ხომალდზე დღეში 3-ჯერადი კვებაა, დანარჩენ დროს გემბანზე ვატარებთ, მუსიკალურ ოთახში, ბარში, კინოდარბაზში, ცეკვებზე და ა.შ.

მალტაზე პირველი ადამიანები ჩვ. წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში გამოჩნდნენ. მოგვიანებით ეს ტერიტორია მსოფლიოს უძლიერესი იმპერიების შემადგენელი ნაწილი იყო. მალტა შედიოდა ძველი საბერძნეთის, ფინიკიის, კართაგენის, რომის, ბიზანტიის იმპერიების და არაბთა ხალიფატის შემადგენლობაში. 1798 წელს მალტა ოკუპირებულ იქნა საფრანგეთის მიერ, თუმცა ფრანგების მმართველობა ხანგრძლივი არ გამოდგა. ნაპოლეონ ბონაპარტის მარცხის შემდეგ, ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით ეს ტერიტორია დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში შევიდა, მალტა 164 წელს ბრიტანეთის კოლონია იყო. 1964 წელს ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, 1974 წლიდან ის საპარლამენტო რესპუბლიკაა.

ნაპოლეონის დროს მალტას რაინდები აშენებდნენ.

ის წარმოდგენილია სამი კუნძულით, ჩვენ ერთ-ერთი მათგანი გავიცანით.

ვნახეთ მდიმა და სლიმა (კურორტი) – პატარა, კოხტა, ლამაზი, ნაცრისფერ-მწვანე ქალაქები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე.

სლიმში წმ. ანტონიოს ბაღები და პრეზიდენტის სასახლეა.

მალტელების ნაციონალური კერძია ქათამი ბრინჯით და ანანასით.

გემზე გვიან საღამოს დავბრუნდით.

5 ოქტომბერს დილიდან ავტობუსებით მალტის დედაქალაქ ვალეტაში წავედით. მისი ყველაზე ხშირი სტუმრები ინგლისელები არიან. მალტა ჩერჩილის საყვარელი ადგილი იყო და ძეგლიც დაუდგეს. აქ იმყოფებოდა ხოლმე ადმირალი ნელსონიც (რომელიც ვერ იტანდა ზღვის ღელვას).

კარგი რეპუტაციით სარგებლობს მალტის უნივერსიტეტი, სადაც სწავლის გასაგრძელებლად სხვა ქვეყნებიდანაც ჩამოდიან.

ყურადღება მიიპყრო მოედნებზე ჩვენი მარნის მსგავსმა ნაგებობამ, სადაც ხორბალს ინახავენ.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ულამაზესმა დაკიდულმა პარკმა ნავსადგურზე. დაახლოებით წარმოვიდგინეთ, როგორი იქნებოდა მსოფლიოს რთ-ერთი საოცრება – „სემირამიდას ბაღები“ (რომელიც ნაბუქოდონოსორმა თავისი მეუღლისთვის გააშენა სავარაუდოდ თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე). პარკში სამი ძეგლია – სტიკლტონის, ჩერჩილის და ჰიუგოს „განკიცხულების“ პერსონაჟებით.

ვეწვიეთ წმ. იოანეს ტაძარს (ყურადღებას იპყრობს, ორიგინალობით და მონუმენტულობით. აქ 400 საფლავია). ტაძარში მიქელანჯელოს, მერიზის და კარავაჯოს სურათებია (მალტაში დახატა მან ერთადერთი ნამუშევარი, რომელსაც ხელი მოაწერა – ეს „იოანეს თავის მოკვეთაა“ (1608 წ.). ნამუშევარი ნათელსასხივებს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მხატვარი მასზე მუშაობდა, როდესაც სინათლის წყაროდან შუქი მარცხნიდან ეცემოდა. ხელმოწერა შავი საღებავითაა შესრულებული სისხლზე, რომელიც მოკვეთილი თავიდან გადმოედინება. მალტაში, ტრადიციულად, ბრინჯაოს საუკუნიდან მიმართავდნენ კრემაციას.

* * *

**მოგზაუროგა სამხრეთ საფრანგეთში საპორტო ქალაქ მარსელიდან** დაიწყო 7 ოქტომბერს (მარსელიდან პარიზამდე 950 კმ-ია – 8 საათის სავალი). ამ უმსხვილეს საპორტო ქალაქში 900 ათასამდე მოსახლეა. ის ძვ.წ. VI ს-ში მცირე აზიიდან მოსულმა ბერძნებმა დააარსეს (მაშინ მასალია ერქვა). ლეგენდის მიხედვით, ადგილობრივი მმართველის ქალიშვილი ბერძენზე გათხოვდა, რის მერეც ფრანგები და ბერძნები დანათესავდნენ. ძვ.წ. I ს-ში რომაელებმა (ცეზარი) ქალაქი გაანადგურეს, მარსელი მხოლოდ X საუკუნეში აღორძინეს პროვანსის ჰერცოგებმა 1481 წელს, მანამდე დამოუკიდებელი მასალია, პროვანსთან ერთად საფრანგეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. სუეცის არხის აშენების შემდეგ მარსელი საფრანგეთის კარიბჭედ იქცა. სიმღერა-ჰიმნი „მარსელიოზა“ ამ ქალაქის სახელწოდებასთანაა დაკავშირებული.

მაღალ გორაზკე დგას ერთადერთი ღირსშესანიშნაობა – ტაძარი ნოტრ-დამ დე ლა გარდი ღვთისმშობლის გამოსახულებით.

გზაზე დასაფლავების პროცესია შეგვხვდა. გიდმა გვითხრა, რომ მიცვალებულის დამარხვა აქ 20-22 ათასი ფრანკი ჯდება (აქაც მიმართავენ კრემაციას).

სარწმუნოებით კათოლიკეები ქედს იხრიან ჯვარცმული იესო ქრისტეს წინაშე და ეთაყვანებიან მარიამ ღვთისმშობელს.

ქალაქისთვის დამახასიათებელია სწორი ქუჩები, სანაპიროები ზღვაზე გასასვლელებით და მოედნები შადრევნით.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო კერძო მფლობელების სახლებმა: პირველ სართულზე ეკლესია აქვთ, მეორეზე – რესტორანი.

ვნახეთ ოლიმპიური კომპლექსი, ტრიუმფალური თაღი, მეთევზეთა სოფელი. აქ დაიბადა ფერნანდელი. ახლა მისი ვაჟი ცხოვრობს, რომელიც რეჟისურაში მუშაობს, თუმცა წარუმატებლად. ყველა სახლი სამუზეუმოა. ახალ ტურისტულ კომპლექსს მიქელანჯელოს დავითის ასლი ამშვენებს.

პრადოს ავენიც ძალიან ძვირ კვარტალშია. ყველაზე მაღალი სახლი 80 მეტრია (კორბუზიეს არქიტექტურა). კომპლექსში ბევრი მინაა. ძალიან მომეწონა კარუსელები. მარსელში დიდი სომხური კოლონიაა. პროსპექტები ორ რიგადაა, ხეები სამ ზოლად. ვნახეთ სავაჭრო ცენტრი, საცხოვრებელი რაიონები, არქიტექტორ კონტენის შადრევანი. მან აქ თავისი მეუღლის ძეგლი დადგა.

მომეწონა კაფე მყისიერი მომსახურებით – თუ 3 წუთის განმავლობაში ვერ მოგემსახურებიან, შეგიძლია ისაუზმო და ფული არ გადაიხადო.

ვნახეთ რეფორმისტული ეკლესია, ბიზანტიური არქიტექტურის დიდი ტაძარი, გოთიკის ელემენტებით.

**8 ოქტომბერს ავტოუსებით ჩავედით კანში**, რომელიც მარსელიდან 160 კილომეტრში მდებარეობს. აქ ყურადღებას იპყრობს ლამაზი ვილები, სასტუმროები, ალპების მთისწინეთი. ქვიშის მთა ვიქტორია ყველაზე მაღალია და ფერს იცვლის.

კანისკენ მიმავალ გზაზე არის ბალნეოლოგიური კურორტი ეკს-ან-პროვანსი. ამ ქალაქში დაიბადა სეზანი და ცხოვრობდა ვან-გოგი. იგი მდიდარია სხვადასხვა სამკურნალო წყაროებით, მათ შორის რევმატიზმით დაავადებულთათვის. ავტობუსის ფანჯრიდან ჩანს დაბალტანიანი ტყე, ციტრუსები. (მარსელიდან ნიცამდე გზა 20 დოლარი ღირს). გზაზე ქოლგისებრი ხეებია და ბევრი სიმწვანე.

გიდმა გვიამბო კანის დაარსების ისტორია: ერთხელ ამერიკელი ლორდი, რომელიც ხშირად სტუმრობდა ნიცას, ქოლერის გამო ვეღარ მოხვდა ამ ქალაქში. ურჩიეს, ნიცასთან ახლოს, კანში გაჩერებულიყო. მას ბევრი მიმბაძველი გამოუჩნდა. ასე განვითარდა კანი.

ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს, რომელიც საფრანგეთს ეკუთვნის, „ლაჟვარდოვან სანაპიროს“ უწოდებენ.

კანში ამერიკელმა რეჟისორმა რომან პოლანსკიმ გადაიღო ფილმი „პირატები“.

გაოცებას იწვევს კერძო გემების რაოდენობა ძველი და ახალი კანის პორტებში. ამ ქალაქის გავლით ჩავედით ნიცაში, ნიცა სასიამოვნოს, კარგს ნიშნავს.

აქ მუშაობდა როდენი, ჟან მარე ნიცას გარეუბანში ცხოვრობდა, ისევე, როგორც პიკასო და ალენ დელონი.

გვეჩქარება მონაკოს სამთავროში მოხვედრა, რათა მივუსწროთ სასახლეში დაცვის შეცვლის ცერემონიას.

**სახელმწიფო მონაკო ვატიკანზე ორჯერ დიდია.**

**1869 წლიდან მონაკო გახდა კურორტი. სწორედ ამ დროიდან მონტე-კარლო სამთავროს მთავარი ქალაქია. საფრანგეთი აღიარებს მის დამოუკიდებლობას.**

მონაკოსკენ მიმავალ გზაზე, კლდის წვეროზე არის უძველესი სოფელი ეზი, რომელიც არწივის უზარმაზარ ბუდეს ჰგავს.

მონტე-კარლოში ვეწვიეთ სახელგანთქმულ კაზინოს (ეს ის კაზინოა, რომელსაც ფ. დოსტოევსკიმ მიუძღვნა თავისი ცნობილი ნაწარმოები „მოთამაშე“). აქ ჩვენ დოლარი ფრანკზე გადავცვალეთ და კაზინოში ვითამაშეთ. მე 3 დოლარი დავახურდავე და მოვიგე 25 ფრანკი, რომელიც მაშინვე წავაგე. ამის მიუხედავად, ძალიან სასიამოვნო იყო კაზინოში შესვლა და იქ თამაში, რაც სამუდამოდ შემორჩა ჩემს მეხსიერებას (კურსი: 1 დოლარი – 6 ფრანკი).

თუ მალტა კარგი და ლამაზია, საფრანგეთი – საუცხოო, ზღაპრული!

9 ოქტომბერს ზღვაში გავედით, ჩავატარეთ „რაინდების საღამო“, რომელზეც საქართველომ პირველი ადგილი დაიკავა.

საღამოს ცნობილი გახდა, რომ 9-ბალიან შტორმს გადავეყარეთ, რის გამოც რომისკენ აღებული კურსი შევცვალეთ და გენუას მივაშურეთ.

10 ოქტომბერს გაირკვა, რომ მაინც თურმე რომისკენ მივდიოდით. ამ დღეს სურდო დამემართა, მთელი დღე ვწამლობდი. ყველაზე ეფექტური გამოდგა სტრეპტოციდის ფხვნილი, საღამოსთვის სურდომ გამიარა. ძალიან ყურადღებით მომექცა თბომავლის ექიმი. გულახდილად ვისაუბრეთ, ბევრი საერთო შეხედულება აღმოგვაჩნდა.

„მის კრუიზის“ გამოსავლენად ჩატარდა საღამო. ახალგაზრდა ქალები მონაწილეობდნენ. ჩვენი ჯგუფიდან ირინა ბატიაშვილი წარვადგინეთ (თინა ინაშვილის რძალი). ჩემი აზრით, ყოველმხრივ შემკული, საყვარელი გოგონა, ექიმი კარდიოლოგიის ინსტიტუტიდან. მისი მეუღლე უაღრესად მახვილგონიერი ახალგაზრდა კაცია. იმის მიუხედავად, რომ ჩვენი ირინა საუკეთესო იყო – გემოვნებიანად გამოწყობილი, ძალიან კარგი პროგრამით, ჟიურიმ პირველი ადგილი ჩელიაბინსკელ ქალბატონს მიაკუთვნა. საერთო აზრით, ეს უსამართლო გადაწყვეტილება იყო.

**10 ოქტომბერს ჩავედით ჩივიტავეკიაში,** თუმცა გემიდან არ გადმოვსულვართ. მეორე დღეს გვესტუმრა ჩივიტავეკიელი გიდი მარტა. დაგვირიგეს სუვენირები – რომის რუკა და იტალიური სამგზავრო ჩანთები.

ჩივიტავეკიიდან რომამდე 75 კილომეტრია. საათსა და 10 წუთში უკვე რომში ვიყავით. მოგვათავსეს კომფორტულ სასტუმრო

„გალესში“. იქვე ვისაუზმეთ, სადილი კი რესტორანში მივირთვით. კვების თაობაზე ბევრს არ ვილაპარაკებ. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სუფრაზე ღვინო, პრაქტიკულად, შეუზღუდავად იყო. ერთ მაგიდასთან ვისხედით ირინა მეუღლით, მზია და ნანა ლაგოდეხიდან, მათი მეგობარი ბესო და ალბერტი თბილისიდან (ინჟინერ-მშენებელი). დრო ძალიან მხიარულად გავატარეთ.

14 ოქტომბერს ბოლო ექსკურსია გვქონდა რომში. 19.00 საათზე ავტობუსებით დავბრუნდით ჩივიტავეკიას პორტში, თბომავალ „არმენიაზე“.

**11 ოქტომბერს ვეწვიეთ ვატიკანს,** დავათვალიერეთ მისი მუზეუმი. დამამახსოვრდა „აპოლონი“ (ბერძნულის ასლი, ძვ.წ. III ს.), ნილის ქანდაკება (I ს-ის ასლი), დიდი ზომის აბაზანები მონოლითისგან.

მუზეუმშია დაცული სახელგანთქმული ქანდაკება „ლაოკოონი და მისი ვაჟიშვილები“ (როდოსელი მოქანდაკეების ნამუშევარი, რომელიც რომშია აღმოჩენილი 1506 წელს).

**მითი (ერთ-ერთი ვერსია):** ტროას ომის დროს პოსეიდონის ქურუმი და წინასწარმეტყველი ლაოკოონტი აფრთხილებდა ყველას, არ შემოეყვანათ ტროას ცხენი ქალაქში, რადგანაც იცოდა დანაელების და ვერაგობის შესახებ. ცხენის დანახვაზე მას აღმოხდა: „რაც არ უნდა იყოს ეს, მე მეშინია თუნდაც ძღვენით მოსული დანაელების“ და ისარი ესროლა ცხენს, მაგრამ ამ მომენტში ზღვიდან ამოცურდა ორი უზარმაზარი გველი, რომლებმაც გაგუდეს ლაოკოონი და მისი ორი ვაჟი, რამეთუ თავად პოსეიდონს სურდა ტროას დაღუპვა.

ვნახეთ მარმარილოში გამოკვეთილი ცხოველები, იმპერატორის სარკოფაგი, ჭაღების გალერეა.

რაფაელის გობელენების დარბაზში ვნახეთ გობელენი იესო ქრისტეს გამოსახულებით. მასთან გავლისას მაგიდა მნახველისკენ ტრიალდება. აქვეა ცეზარის მკვლელობის ამსახველი გობელენი.

მოგვხიბლა სიქსტის კაპელამ. მასზე მუშაობის დროს, მიქელანჯელო 4 წლის განმავლობაში არ გამოსულა შენობიდან. კაპელა შექმნილია ბიბლიურ თემებზე. ერთი კედელი წარღვნის სცენას უკავია. მასზე ასახულია ნოეს კიდობანი, განსაწმენდელი, ჯოჯოხეთი და სხვ.

აღფრთოვანებას იწვევს რაფაელის „სტანსები“, ფრესკების დარბაზი. მასზე გამოსახული არიან ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი, მიქელანჯელო და სხვ.

წმ. პეტრეს ტაძრის მშენებლობა XVI ს-ში დაიწყო ბრამენტემ, გააგრძელეს საგალმა, რაფაელმა და მიქელანჯელომ. საკურთხევლის ცენტრში 4 მოციქულია გამოსახული: მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე. მხოლოდ პაპს შეუძლია ყოფნა საკურთხეველში, რომლის ქვეშაც წმინდა პეტრეა დაკრძალული.

ტაძარი კოლოსალური ზომისაა. მონიშნულია ბევრი ადგილი, სადაც შეიძლება მრავალი ეკლესია დატეულიყო. აქ უამრავი სამლოცველო და პაპების ძეგლებია პატიოსნებისა და სამართლიანობის სასწორის გამოსახულებით.

შვეციის დედოფლის ანდერძის თანახმად, მთელი მისი ქონება ვატიკანს გადაეცა, რის გამოც აქ მისი ძეგლიცაა.

ტაძრის უმთავრესი ღირსშესანიშნაობაა მიქელანჯელოს შედევრი პიეტა (1498-1499). ჯერ ანტიკური რომი ვნახეთ, მერე კი – თანამედროვე.

ყურადღება მიიქცია ბორგეზეს ვილამ და პარკმა, რომელიც ხელოვნების ნიმუშებს აგროვებდა.

წმ. პეტრეს მოედანზე (ვატიკანში) 428 სვეტია.

**ლეგენდა რომის დაარსების შესახებ**: ტროას მეფის, ენეას შთამომავალ მუმიტორის ქალიშვილმა (რეა სილვიამ) ტყუპები შობა, რომულუსი და რემუსი. მუმიტორის ბოროტმა ძმამ ამულიმ ტახტი წაართვა, მოკლა მისი ვაჟი, ხოლო სილვიას ახალშობილები (რომელთა მამა, სილვიას თქმით, ომის ღმერთი მარსი იყო) მდინარეში გადააყრევინა (შეეშინდა, რომ ისინი გვირგვინს წაართმევდნენ). ბიჭები მდინარის პირას იპოვა მგელმა და გამოკვება. ისინი შემდეგ მწყემსმა წაიყვანა სახლში და შვილებივით გაზარდა... ძმები ლიდერებად ჩამოყალიბდნენ, გაარკვიეს თავიანთი ვინაობა, მოკლეს მეფე ამული, თუმცა უარი თქვეს გვირგვინზე, რადგან საკუთარი ქალაქის დაარსება სურდათ. რომულუსი და რემუსი ვერ შეთანხმდნენ ქალაქის მშენებლობის ადგილზე. ამ დაპირისპირების დროს რომულუსმა მოკლა რემუსი. ქალაქი მან ძვ.წ. 753 წელს დააარსა.

ვნახეთ ვიქტორ ემანუილის – გაერთიანებული იტალიის პირველი მეფის მონუმენტი, XVIII ს-ის სამების კათოლიკური ეკლესია.

წმ. პეტრეს ტაძარში ინახება **მსოფლიო ხელოვნების შედევრი – „მოსე“**. ცნობილია, რომ მიქელანჯელომ 40 წელი იმუშავა იულიუს II-ის სარკოფაგის გრანდიოზულ კომპლექსზე, რომლის ნაწილიც უნდა გამხდარიყო მოსეს ქანდაკება. სხვადასხვა მიზეზით მან ეს სამუშაო ვერ დაამთავრა. მიქელანჯელომ მოასწრო მხოლოდ სამი ქანდაკების – „მოსეს“, „ლიის“ (უმოქმედობის სიმბოლო) და „რახილის“ (აქტიურობის სიმბოლო) დასრულება. მოსეს შუბლზე პატარა რქები აქვს (როგორც სატირს). სპეციალისტთა აზრით, სინას მთიდან ჩამოსვლის მერე მოსეს სახე გასხივოსნებული იყო და ეს რქები წინასწარმეტყველის თავიდან ამომავალ სინათლის მეტაფორულ სხივებს გამოსახავენ.

„მოსეზე“ მუშაობის დასრულების შემდეგ მიქელანჯელო თავად დარჩა გაოცებული საკუთარი ქმნილებით. „რატომ არ დამელაპარაკები?“ – აღმოხდა მას და ჯვარი მოუქნია.

აღსანიშნავია, რომ მოსე და იესო, ორივე ებრაელი, ერთმანეთს დაშორდნენ და სხვადასხვა სარწმუნოება მიიღეს, მოსემ – იუდაიზმი, იესომ – ქრისტიანობა.

რომში 200 ეკლესიაა, მათ შორის სპილო (ბერნინი) ობელისკით.

**15 ოქტომბერს მივაღწიეთ საბერძნეთს.** დილის 9 საათზე უკვე პირეოსში ვიყავით. დაგვხვდა ავტობუსები. პირეოსი, ქვეყნის მთავარი პორტი, ცნობილია ძვ.წ. V ს-დან. აქედან ათენამდე 8 კმ-ია. ეს ქალაქები მეტროთი უკავშირდებიან ერთმანეთს. პორტი ფემისტოკლმა ააგო.

საბერძნეთს არა აქვს ნავთობი, საუდის არაბეთიდან ყიდულობს. ძირითად შემოსავალს ტურიზმი იძლევა.

**ლეგენდა:** ერთ-ერთი ღმერთი ქრონოსი, იმის შიშით, რომ შვილები წაართმევდნენ ძალაუფლებას (ასე უწინასწარმეტყველეს), დაბადებისთანავე ყლაპავდა საკუთარ პირმშოებს. მე-6 შვილი, ბიჭი, დედამ (გეა) კუნძულ კრიტაზე, გამოქვაბულში გააჩინა და დაუმალა ქრონოსს. ეს იყო ზევსი, რომელმაც წაართვა ძალაუფლება მამას, მისი მუცლიდან თავისი და-ძმა ამოიყვანა (გერა, პოსეიდონი, გესტია, დემეტრა, აიდი), მათი დახმარებით მოიგო ტიტანებთან ბრძოლა და ყველაზე ძლიერი გახდა ღმერთებს შორის, ყველა მას ემორჩილება.

ათენის სიმბოლოა ზეთისხილის ხე. აქ 100 მლნ ასეთი ხეა.

გზიდან მარცხნივ ეგეოსის ზღვაა. „იკაროსის გზაზე“ (კონსტანტინოპოლი) კორინთოს არხია, რომელიც იონიის და ეგეოსის ზღვებს აერთიანებს. არხის მშენებლობა 1893 წელს დასრულდა. მისი სიგრძე 6 კმ-ია, სიღრმე – 8 მ., სიგანე – 25 მ.

გავემგზავრეთ კორინთოში. ამ ქალაქმა განვითარების პიკს ძვ.წ. VIII-VII სს-ში მიაღწია და განთქმული იყო თავისი კერამიკით. პავლე მოციქულმა აქ VI ს-ში იქადაგა ქრისტიანობა. მთაზე დგას სილამაზის ქალღმერთ აფროდიტას ტაძარი.

ვათვალიერებთ გათხრების ადგილს – აგორას, რომელიც ზედა და ქვედა ქალაქებს აერთიანებს. ვნახეთ ტრიბუნა, საიდანაც ორატორები ხალხს მოუწოდებდნენ.

საბერძნეთში ძველთაგანვე ყოფილა წყალგაყვანილობა.

გავემგზავრეთ მიკენაში (ძვ.წ. 2800-1700 წწ.), უძველესი კულტურის ქალაქში, სადაც ბევრი კვიპაროსია. ამ სევდის ქალაქში საფლავებზე სიმბოლოებია გამოსახული სულის ზეცაში ამაღლების ნიშნად. მიკენაში 1877 წელს აღმოაჩინეს ოქროს საგანძური. ქალაქი (ასევე აკროპოლისი) სხვადასხვაგვარი ქვებისგან არის ნაშენი. მისი შესასვლელია ერთი დიდი ქვა ლომების – ძალაუფლების სიმბოლოს გამოსახულებით. ვნახეთ XII ს-ის საფლავები, მამა აგამემნონის განსასვენებელი...

ვესტუმრეთ ასევე მკურნალობის ღმერთის ასკლეპიოსის (რომაელებისთვის ესკულაპას) ქალაქ-კურორტ ეპიდავრს.

**ლეგენდა იასონსა და მედეაზე.** ბერძნული მითის მიხედვით, მედეა – კოლხეთის ლეგენდარული მეფის აიეტის უმცროსი ასული, ჰელიოსის შვილიშვილი იყო (დაახლ. ძვ.წ. XIV-XIII სს.); მას არგონავტების წინამძღოლი იასონი შეუყვარდა და დაეხმარა მას კოლხეთიდან ოქროს საწმისის გატაცებაში. მითი ერთ-ერთი ვერსიით შეყვარებულებმა საბერძნეთში ჩააღწიეს, მაგრამ მალე იასონმა უღალატა მედეას და ცოლად კორინთოს მეფის ასულ კრეუსას მოყვანა დააპირა. მედეამ შური იძია იასონზე და საცოლე მოუკლა. მისი საქციელით განრისხებულმა კორინთელებმა მედეას შვილები დაუხოცეს, რის მერეც გაუბედურებული ქალი კოლხეთში დაბრუნდა.

სხვა ვერსიით (ევრიპიდე და სხვ.), შურისძიებით შეპყრობილმა მედეამ თავად დახოცა საკუთარი შვილები.

მედეას სახელს ანტიკურ და წინაანტიკურ სამყაროში ბევრი რამ უკავშირდება. ძველ ხალხს ის ქალღმერთად მიაჩნდა, რომლის სახელზეც ტაძრებს აგებდნენ. მედეა ფლობდა მკურნალობის საიდუმლოებებს. თვით ტერმინი მედიცინა მისი სახელიდან მომდინარეობს. ლეგენდებისა და ისტორიული წყაროების თანახმად, მედეას დიდი ცოდნა და მკურნალობის საოცარი ნიჭი ჰქონდა.

საღამოს ათენში, ტავერნაში დავესწარით ფოლკლორულ კონცერტს. უაღრესად ნასიამოვნები დავრჩით.

**16 ოქტომბერი – ექსკურსია ათენში**. ვნახეთ კერძო გემები, საოცარი კლდის ხედი, რომელიც ფორმასა და ფერს იცვლის. მას „შეშლილს“ უწოდებენ. მეცნიერების დასკვნით, ამ მოვლენის მიზეზია აქაური ცხელი წყაროებიდან ამოსული ნახშირორჟანგი.

ვნახეთ XII ს-ში აშენებული მონასტერი, რომელიც მოხატულია XVI ს-ში. გიდის თქმით, ვინმე სინგრომმა (ბანკირი, ფილანტროპი) საკუთარი სახსრები გაიღო თეატრის, მუზეუმის, საავადმყოფოს, მთავარი პროსპექტისა და თავისი სახელობის ციხის ასაშენებლად.

აკროპოლისი, ძვ.წ. IV ს-ის უძველესი ქალაქი გორაკზე რამდენიმე შენობისგან შედგება. უმთავრესია პართენონი, დღემდე შემორჩენილი ნაგებობა, რომელიც ბერძნული არქიტექტურის უნატიფეს ნიმუშად ითვლება. შენობას ერქვა ქალღმერთ ათენას ტაძარი, მისი დღევანდელი სახელი მომდინარეობს ძველი ბერძნული სიტყვიდან პართენოს (ქალწული).

ათენში 4 მლნ მცხოვრებია.

ქალაქის ნაციონალურ პარკში ბაირონის ძეგლი დგას.

ყოფილი მეფის სასახლეში, ახლა აქ პარლამენტი მუშაობს, ყოველ საათში ერთხელ იცვლება ყარაული (გვარდია). უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარეობს მდიდრული სასტუმრო „დიდი ბრიტანეთი“ და დიონისეს ეკლესია.



„ბავთავხედდი“ და სიქსტის კაპელაში შევასრულე „ავე-მარია“...

ნაციონალური არქეოლოგიური მუზეუმი ათენას, კორას და კუროსის ბრინჯაოს ქანდაკებებით (ქალები და კაცები), აშენებულია 1832 წელს. შთამბეჭდავია ზღვის ღმერთი პოსეიდონი, ფეხებთან დელფინით, რომელსაც შუშის თვალები აქვს ჩადგმული, რაც ქანდაკებას უფრო მეტყველს ხდის. აღფრთოვანებს იწვევს მე-2 დარბაზი, ბარელიეფებით (მოჩუქურთმებული ქვები), ბრინჯაოს ქანდაკება – „ცხენი და მხედარი“...

**17 ოქტომბერი** – თურქეთში 16 საათზე ჩავედით. სტამბოლში 10 მლნ მცხოვრები, 600 მეჩეთი და 160 ეკლესიაა.

ქალაქში ავტობუსებით გავედით. მძღოლებმა, რატომღაც ცენტრალურ ქუჩებს გვერდი აუარეს, რის გამოც აეროდრომამდე ქალაქის მხოლოდ პერიფერიული ნაწილი ვნახეთ, რამაც ყველა აღაშფოთა. გიდი ცდილობს გაგვართოს და გვიყვება ნაპოლეონ ბონაპარტის ცოლის დაზე, რომელსაც მკითხავმა უწინასწარმეტყველა: შენი და იმპერატორის ცოლი გახდება, თავად შენ კი საფრანგეთიდან შორს იცხოვრებო, რაც ახდა: ის 16 წლისა მოიტაცეს და სულთნის ცოლი გახდა. მოგვიყვა ასევე, ჰარამხანის შესახებ. თურქეთის I პრეზიდენტი იყო ათათურქი. გვითხრეს, რომ ბოსფორის სრუტეში გემები ხშირად ეჯახებიან ერთმანეთს.

18 ოქტომბერი – სტამბოლში ყოფნის მე-2 დღე. დილით ადრე ავდექით. 6.30-ზე ვისაუზმეთ და წავედით ექსკურსიაზე.

ვეწვიეთ იპოდრომს, რომელსაც 2 რომაელი იმპერატორი აშენებდა (სიგრძე – 280 მ., სიგანე – 170 მ.). ცენტრში აღმართული იყო კოლონადა ჰერაკლეს გამოსახულებით. ამჟამად დარჩენილია 3 სვეტი, 3 ობელისკი: ეგვიპტური ანუ ფეოდოსის ობელისკი (ძვ.წ. XVI ს.), რომელზეც გამოსახულია ფეოდოსის ცხოვრების სცენები (წონა – 300 ტ.); გველების კოლონა (326 წ.), ძალიან მაღალი სვეტი, დაგვირგვინებული ოქროს სფეროთი გველების გამოსახულებით; კოლოსი ანუ კონსტანტინეს სვეტი (VIII ს.), რომლის ქვის ბლოკები ოქროს ფურცლებით იყო დაფარული.

გავიარეთ ყურეზე აშენებულ ხიდზე. ვნახეთ სულთნის (1565-66 წწ.) მეჩეთი 5 აივნებიანი მინარეთით. სულ 10 აივანია, რაც იმას ნიშნავს, რომ 10 სულათნი მეფობდა. ვნახეთ ასევე, რუსტემ ფაშას ერთმინარეთიანი მეჩეთი. ახალ მეჩეთს აშენებდა სულთნის მეუღლე, ინტრიგანი ქალბატონი, რომელიც ბოლოს სასახლის მსახურებმა გაგუდეს (აქ მავზოლეუმებიც არის).

სულთან აჰმედ I-ის ტაძარი, 6 მინარეთით, შიგნიდან ცისფერია, ამიტომ უწოდებენ ცისფერ მეჩეთს, 7 წლის განმავლობაში შენდებოდა XVII ს-ში. ქალები აივანზე ლოცულობდნენ, მამაკაცები კათედრასთან ისხდნენ.

**იმავე დღეს ვნახეთ ტაძარი „აია სოფია“** (სოფია ნიშნავს სიბრძნეს), ყოფილი მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც მოგვიანებით მეჩეთად გადააკეთეს, მის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა კონსტანტინე დიდის დროს და 324-337 წლებში შენდებოდა ბიზანტიელი არქიტექტორების მიერ. ტაძარი ორჯერ გაანადგურა ხანძარმა (404 და 532 წწ.) და ორჯერ მიწისძვრამ (558 და 989 წწ.). ბოლო მიწისძვრის შემდეგ რეკონსტრუქცია-რესტავრაციას სომეხი არქიტექტორი ტრდატი ხელმძღვანელობდა. გუმბათი კერძოდ მისი პროექტით არის აღდგენილი. ტაძარი გამოირჩევა სიმდიდრით. მისი კარიბჭე სპილოს ძვლისაა, მოზაიკები ოქროთი ელვარებენ, 40 სარკმელი ნიშა, დაგვირგვინებულია გუმბათით, ტაძარში 107 სვეტია, მათ ზევით ასოები ძჩ ნიშნავს მეგალოეკლესიას (დიდი ეკლესია). ტაძარი სიდიდით მსოფლიოში მეოთხეა (წმ. პეტრეს ტაძრის, ვატიკანის და ისააკის ტაძრის შემდეგ). შესასვლელში, კონსტანტინესა და იუსტინიანეს შორის, ღვთისმშობლის გამოსახულებაა. 1935 წ. ათათურქმა ტაძარს მუზეუმის სტატუსი მიანიჭა, მაგრამ 2020 წელს ისევ მეჩეთი გახდა.

**20 ოქტომბერი – თურქეთში ექსკურსიის და, საერთოდ, კრუიზის ბოლო დღე.** გადავკვეთეთ ბოსფორის ხიდი, რომლის მშენებლობაც 1969 წელს დაიწყო და თურქეთის რესპუბლიკის 50 წლის აღნიშვნის წინა დღეებში, 1973 წლის ოქტომბერში დასრულდა (სიგრძე – 1560 მ., სიგანე – 33 მ., წყლის დონიდან 64 მეტრია). ხიდზე ორმხრივი, 3-3-მწკრივიანი საავტომობილო მოძრაობაა. ეს არის მეოთხე დაკიდული ხიდი მსოფლიოში და პირველი ევროპაში.

იმავე საღამოს თბომავალზე ჩატარდა „არმენიას“ თანამშრომელთა თვითშემოქმედების კონცერტი. დიპლომები და საჩუქრები გადაეცათ კრუიზის აქტიურ წევრებს, ჩვენი დელეგაციიდან – ოთხს, მათ შორის მეც.

20 ოქტომბერს, 13 საათზე, კურსი ოდესისკენ ავიღეთ. 21-ში, 15 საათზე, ადგილზე ვიყავით.

ოდესაში უკვე მელოდებოდა ჩემს დასახვედრად სპეციალურად ჩამოსული ჩემი დაიკო, თავისი მეგობრით. სამივენი სასტუმრო „იუნოსტში“ დავბინავდით. განზრახული გვქონდა ოდესის დათვალიერება. მოვიარეთ ქალაქის ქუჩები. ვნახეთ სხვადასხვა ღირსშესანიშნაობები, მათ შორის უმთავრესი – ოდესის ცენტრალური, ყველაზე გრძელი (945 მ.) დერიბასოვის ქუჩა, რომელმაც სახელწოდება ხოსე დე რიბასისგან (1751-1800 წწ.) მიიღო. ესპანელმა თავადაზნაურმა რუსეთში მრავალ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და ადმირალიც გახდა. ეკატერინე მეორის დავალებით სწორედ მან შეარჩია ადგილი პორტის ასაშენებლად. ოდესის დამაარსებელი ქალაქის პირველი თავკაცი იყო. მისი სახელი ქუჩას 1811 წელს მიენიჭა.

ვიყავით სახელგანთქმულ ოდესის საოპერო თეატრში. დავესწარით სპექტაკლს „მოცარტი და სალიერი“, ვნახეთ ბალეტი „ოტელო“, ცნობილ მუსკომედიის თეატრში დავესწარით ოფენბახის ოპერეტას „გასაღები ქვაფენილზე“.

შთაბეჭდილებებით აღსავსე, **23 ოქტომბერს, ჩამოვფრინდი მშობლიურ თბილისში.** საყვარელ ქალაქთან შეხვედრამ გული ამიჩუყა, ცრემლი ვერ შევიკავე...

ცხოვრება ჩვეულებრივად გაგრძელდა... მაგრამ ის ემოცია და მუხტი, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში მოგზაურობისგან მივიღე, დღემდე შემომრჩა.

**თინა ბარამიძე**

1987-2022.

# რუსეთს შეიარაღება ელევა?!



**რუსეთი, რომელსაც, ოფიციალურად, სხვა ქვეყნებისგან იარაღის მიღება არ შეუძლია, ბოლო დროს მას უცხოეთში გამალებით ეძებს. რიგი ქვეყნები კრემლს უარს დასავლური სანქციების შიშით ეუბნებიან, ნაწილს აგრესორის დახმარება უბრალოდ არ სურს. თუმცა კრემლს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ შემორჩა ერთი-ორი პარტნიორი სახელმწიფო, რომელიც რუსეთისთვის შეიარაღების მიწოდებას მალულად ცდილობს.**

ასე, მაგალითად, „ბლუმბერგის“ ანალიტიკოსებმა დაადგინეს, რომ სატვირთო ხომალდმა „სპარტა 2“-მა ივლისის ბოლოს სირიული ტარტუსიდან ბოსფორის გავლით ნოვოროსიისკში სამხედრო ტექნიკა ჩაიტანა. სპეციალისტების ვარაუდით, ამ გზით, ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების გავლით, რუსეთმა, მაღალი ალბათობით, უკვე არაერთხელ აუარა გვერდი თურქეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ შემოღებულ ოფიციალურ აკრძალვას და რაც მნიშვნელოვანია, თავად ანკარას მისთვის ამაში ხელი არ შეუშლია.

**ივლისში პრეზიდენტი პუტინი ირანში იყო ჩასული, არაოფიციალური ინფორმაციით, 1000 ერთეული უპილოტო საფრენი აპარატის – „შაჰიდის“ შესაძენად. ამასთან, არსებული ინფორმაციით, პირველი პარტია რუსეთს სირიიდან უკვე მიეწოდა.**

„გარდიანი“ ასევე წერდა, რომ ირანმა რუსეთს საკუთარი წარმოების საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „BAVAR 373“ მიაწოდა და ადრე მოსკოვისგან შესყიდული C-

## ვინ ეხმარება მოსკოვს მარაგის არალეგალურად შევსებაში?

300-ებიც დაუბრუნა. გარდა ამისა, გამოცემის ინფორმაციით, თეირანი მოსკოვს იარაღის ერაყში შეძენაში ეხმარება. კერძოდ, აპრილში სამი სატ**ვირთო ხომალდი ირანიდან ასტრახანში ჩავიდა, მანამდე კი ერაყის სახალხო მობილიზების ძალებმა ირანში ზალპური ცეცხლის ორი ერთეული რეაქტიული სისტემა „ასტრას-2“, ყუმბარმტყორცნები და ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები ჩაიტანეს.**

ჯერ კიდევ ომის დასაწყისში ამერიკული მედია წერდა, რომ მოსკოვმა არაერთხელ მიმართა სამხედრო დახმარების თხოვნით პეკინს, თუმცა ეს უკანასკნელი დასავლეთთან ისედაც დაძაბული ურთიერთობის საბოლოოდ გაფუჭების შიშით სიფრთხილეს იჩენდა. მიუხედავად ამისა, მართალია, ირიბად, მაგრამ ჩინეთი, როგორც ირკვევა, მოსკოვს დახმარებას მაინც უწევს, კერძოდ, მიკროჩიპებითა და ორმაგი დანიშნულების სხვა მაკომპლექტებლების ექსპორტით, რომელიც უკრაინაში ომის დაწყების დროიდან თითქმის გაორმაგდა.

ხოლო სამხედრო მრეწველობაში გამოყენებადი ალუმინის ოქსიდის მიწოდებები, გასულ წელთან შედარებით, 400-ჯერ არის გაზრდილი.

გარდა ამისა, **რუსეთი ყიდულობს ჩინურ სამოქალაქო ტექნოლოგიებს, რათა შემდგომში სამხედროდ გარდაქმნას. ასე, მაგალითად, ცოტა ხნის წინ რუსეთის სამხედრო მრეწველობის გამოფენაზე წარმოდგენილი იყო რობოტი ძაღლი, რომელიც ჩინეთმა თავის დროზე სამოქალაქო მიზნებისთვის შექმნა, რუსეთმა კი შეისყიდა, ყუმბარმტყორცნები მიამაგრა და სამხედრო მიზნით აპირებს, გამოიყენოს. მოსკოვისთვის საარტილერიო და მაღალი სიშორის ზალპური ცეცხლის სარაკეტო სისტემების პოტენციურ მიმწოდებლად განიხილება ჩრდილოეთ კორეა – ლიდერი იარაღის შავი ბაზრის კუთხით. ქვეყანაში საკმაოდ ხშირად ფიქსირდება იარაღი, რომელიც ოფიციალურად მის შეიარაღებაში არ ყოფილა.**

ასეა თუ ისე, პენტაგონის ხელმძვანელის მოადგილის კოლინ კალის მონაცემებით, რუსეთმა თავისი შეიარაღების მარაგების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ამოწურა და უახლოეს ხანებში დასავლური სანქციების პირობებში მარაგის ლეგალურად შევსება ძალიან გაუჭირდება.

# VOA: რუსეთის მიერ ხორბლის ექსპორტის შეზღუდვის ფონზე, ამერიკა საქართველოს შიდა წარმოების გაზრდაში ეხმარება



შეერთებული შტატების სპეციალური წარმომადგენელი სურსათის გლობალური უსაფრთხოების მიმართულებით ქერი ფაულერი აცხადებს, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში სრულმასშტაბიან ომს გლობალურ შიმშილზე და განსაკუთრებით, ღარიბ ქვეყნებში სურსათის კრიზისზე დიდი გავლენა აქვს.

**„ამერიკის ხმასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, ელჩი ფაულერი საქართველოზეც საუბრობს და ამბობს, რომ ქვეყანა წელიწადში 100 ათას ტონა მარცვლეულს აწარმოებს, 5-ჯერ ამდენი კი ძირითადად, რუსეთიდან შემოაქვს. უკრაინაში ომის ფონზე რუსეთმა საქართველოს ხორბლის მიწოდება შეუზღუდა, რის გამოც ქვეყანას ფქვილის ყიდვა სხვა ბაზრებიდან და უფრო ძვირად უწევს. მისი განმარტებით, ამის გამო როგორც საქართველოს მთავრობა, ასევე შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, ქვეყნის რუსულ მარცვლეულზე დამოკიდებულების შესამცირებლად, საქართველოში შიდა წარმოების გაზრდის ხელშეწყობას ცდილობენ. ელჩ ფაულერს ჟურნალისტი ია მეურმიშვილი ესაუბრა.**

გთავაზობთ ნაწყვეტს ამ ინტერვიუდან.

**– ცოტა ხნის წინ ვაშინგტონში საქართველოს მთავრობის დელეგაცია ჩამოვიდა, რომელსაც სხვა ოფიციალურ პირებთან ერთად, თქვენც შეხვდით. რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, საუბრის ერთ-ერთი თემა მარცვლეულის წარმოების თვალსაზრისით საქართველოს თვითკმარობისა და მდგრადობის ხელშეწყობის გზები იყო. გთხოვთ, გვითხრათ მეტი ამაზე, რაზეა ზოგადად საუბარი?**

– დიახ, ახლახან მქონდა ძალიან სასიამოვნო შეხვედრა საქართველოს საკმაოდ შთამბეჭდავ დელეგაციასთან, რომლის წევრებს შორის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მინისტრიც იყო. საქართველოსთვის ერთ-ერთი საკითხი ხორბლის იმპორტზე დამოკიდებულებაა. საქართველო თავად აწარმოებს წელიწადში დაახლოებით ასი ათას ტონა ხორბალს, მაგრამ ხუთჯერ მეტის იმპორტს ახორციელებს და ეს რაოდენობა თითქმის მთლიანად რუსეთიდან შემოდის.

ცხადია, ამ ვითარებაში საქართველოს, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანას, რომელიც რუსულ ხორბალზეა დამოკიდებული, სურს, ამას თავი დააღწიოს და იყოს ნაკლებად დამოკიდებული. საქართველოს შემთხვევაში საჭირო იქნება ხორბლის შიდა წარმოების გარკვეულწილად გაზრდა. ბოლო წლებში, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი საქართველოსთვის ხორბლის მთავარი წყაროა... უბრალოდ მინდა აღვნიშნო, რომ ამ მომენტში არსებობს შეზღუდვები რუსეთიდან ხორბლის ექსპორტზე სხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. ამან რამდენიმე ქვეყანა აიძულა ხორბლის ნაცვლად ფქვილის იმპორტი აწარმოონ, რასაც უფრო მაღალი ფასი აქვს და განსაკუთრებით ახლა, როცა ფასები ჩვეულებრივზე მაღალია. ასე რომ, საქართველო, ისევე როგორც მრავალი სხვა ქვეყანა, დგას იმ ფაქტის წინაშე, რომ ორმაგი ტვირთი აქვს სატარებელი: ერთია ის, რომ დამოკიდებულია რუსეთზე, რაც არ არის საიმედო, და მეორე ის, რომ ხორბალი უნდა ჩაანაცვლოს კიდევ უფრო ძვირი იმპორტირებული ფქვილით.

**– ეს ფქვილი რუსეთიდან შედის თუ სხვა ბაზრებიდან?**

– ფქვილის შემოტანა ხდება სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის, სხვათა შორის, უკრაინიდანაც, მაგრამ ძირითადად, თურქეთიდან, ყაზახეთიდან და ასევე რუსეთიდან, საიდანაც ხორბლის ექსპორტზე შეზღუდვებია, ფქვილზე კი – არა.

# „იდიოტებად მივაჩნივართ“!

**რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დსთ-ის საქმეთა, ევრაზიული ინტეგრაციისა და თანამემამულეებთან კავშირის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კონსტანტინე ზატულინი თვლის, რომ რუსეთ-ბელარუსის საკავშირო სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის შესვლის შემთხვევაში „მხარეებს რუსეთის მოქალაქეების მიერ რესპუბლიკაში მიწის ყიდვის სადავო საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე შეთანხმება გაუადვილდებათ“.**

ასე გამოეხმაურა ზატულინი აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის ასლან ბჟანიას განცხადებას იმის შესახებ, რომ **„რესპუბლიკა მზადაა, შეუერთდეს რუსეთის, ბელარუსისა და სხვა ქვეყნების საკავშირო სახელმწიფოს, რომელიც უკრაინაში ომის დასრულების შემდეგ შეიძლება, შეიქმნას“.**

ზატულინის თქმით, რუსეთის მოქალქეების მიერ აფხაზეთში მიწის შეძენის საკითხის დადებითად გადაწყვეტა აფხაზურ საზოგადოებაში „ნარჩენი შიშის“ გამო ჭიანურდება.

**„აფხაზური ოპოზიცია საზოგადოებაში ეჭვების გაღვივებას ცდილობს: აქაოდა, ამის დაშვების შემთხვევაში ხვალ აფხაზები აფხაზეთის პატრონები აღარ იქნებიანო. მაგრამ ხომ ყველას გვესმის, რომ აფხაზეთიდან მიწას ვერავინ წაიღებს და რეალურად, მსგავსი შიშები რესპუბლიკის განვითარებას უშლის ხელს“** – განაცხადა რუსმა დეპუტატმა.

ზატულინის სიტყვებმა აფხაზურ საზოგადოებაში აღშფოთება გამოიწვია. სოცქსელების აფხაზურ სეგმენტში მის მიმართ ნეგატივის ტალღაა აგორებული.

**„რუსეთში მოქმედებს კანონი, რომლის თანახმად, ქვეყნის არაერთ ოლქში უცხოელებს მიწის შესყიდვა აკრძალული აქვთ. ზატულინი ამბობს, აფხაზურ მიწას აფხაზეთიდან ვერავინ წაიღებსო... და ბირთვული რუსეთიდან წაიღებს?! რუსეთისთვის შეიძლება საკუთარი ინტერესების დაცვა და ჩვენთვის არა? კვლავ იდიოტები ვგონივართ! მსგავსის მოსმენა განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ადამიანისგან, რომელიც წლების განმავლობაში თავს აფხაზეთის მეგობრად ასაღებდა“** – წერს სოცქსელში პოლიტიკოსი **ადგურ ლაგვილავა.**

თავის მხრივ, აფხაზეთის გმირი ასლან კობახია წერს, რომ „არსებობს რაღაცები, რისი გაკეთებაც აფხაზეთში დაუშვებელია“:

**„კონსტანტინე ზატულინს აფხაზეთში დიდ მეგობრად იცნობდნენ, თანაც ჩვენი პირველი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას პირად მეგობრად. მისი მტკიცე პოზიციის დავიწყება აფხაზეთის ომის შემდეგ ბლოკადის დროს უსინდისობა იქნებოდა. მაგრამ აფხაზური მიწის გაყიდვის შესახებ მისი პოზიციის გაზიარებას ჩვენი ქვეყნის ვერც ერთი თავმოყვარე მოქალაქე ვერ შეძლებს. ბატონო ზატულინ, უდიდეს პატივს გცემთ, მაგრამ უნდა გესმოდეთ, რომ არსებობს რაღაცები, რომელთა კეთებაც აფხაზეთში დაუშვებელია. ვლადისლავ არძინბას ეს ესმოდა, წინასწარ განჭვრიტა, პრევენციულად იმუშავა და გაფიქრების საშუალებაც კი არ დატოვა აფხაზური მიწის გაყიდვაზე – ულრმესი მადლობა მას ამისათვის! ვინც ამ საკონსტიტუციო ჩანაწერის შეცვლას ეცდება, აფხაზეთში ცოცხალი ვერ გადარჩება! აფხაზეთში მიწის მხოლოდ იჯარით აღება შეუძლიათ თავად აფხაზეთის მოქალაქეებსაც კი, სხვა ყველა მანიპულაცია ცუდად დამთავრდება!!!“** – წერს კობახია.

## ზატულინმა აფხაზები აღაშფოთა



ცნობისთვის: აფხაზური ე.წ კონსტიტუციისა და „სამოქალაქო კოდექსის“ თანახმად, მიწა აფხაზი ხალხის საკუთრებას წარმოადგენს და ყიდვა-გაყიდვას არ ექვემდებარება.

# ორსულელა

**დიდი ქართველი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „თვითრწმენა გამარჯვების ნახევარიაო“. თუ დააჯერეთ ხალხი, რომ არც მისი წინაპარნი ვარგებულან, არც თვითონ და არც იმის ჩამომავლობა შექმნის რასმე თვალსაჩინოს, თუ მოუშალეთ რწმენა და იმედი, მისი დღეები დათვლილია. ბედის მორჩილება – აი, მისი მომავალი“.**

ჩვენ კი რას ვაკეთებთ? იმის მაგივრად, რომ ყურად ვიღოთ წინაპართა შეგონებები, რაც ძალა და ღონე გვაქვს ვცდილობთ იმედი და რწმენა მოვუშალოთ ქართველ ხალხს. თუ ჩვენი ცხოვრების მაჯისცემას მოვუსმენთ, ნათლად ჩანს, რომ ეროვნული გადაგვარების მახვილი კარგა ხანია მიმართულია ახალგაზრდობის წინააღმდეგ, ჩვენს ხვალინდელ დღეზე. ამისთვის არავითარ საშუალებას არ ერიდებიან უცხოელი თუ შინაური ავის მოსურნენი და ხელიდან გვეცლება ეროვნული საყრდენი.

ყოველივე ამას ემატება ეროვნული თვალსაზრისით მეტად საშიში მოვლენა: დავიწყეთ ქრონიკული მოღვაწეების განქიქება, იმ ადამიანების აუგად მოხსენიება, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს ქართული ცნობიერების განმტკიცებასა და ფორმირებაში, საერთოდ ჩვენს წარსულ ცხოვრებაში. ერი, მით უმეტეს მცირერიცხოვანი, თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს თავის ავტორიტეტებს, თავის სულიერი ცხოვრების მესაჭეებს, ღირსეულად უნდა აფასებდეს მათ ამაგსა და ღვაწლს შთამომავლობის წინაშე. ერის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა თავისი ღირსეული წინაპრების მიერ დატოვებული მდიდარი მემკვიდრეობისა და, უპირველეს ყოვლისა, სულიერი საგანძურის მოვლა და გათავისება. ეს მისია ქართველმა ხალხმა ღირსეულად შეასრულა და გაუძლო ჟამთა განსაცდელს. მაგრამ ბოლო წლებია ფეხქვეშ გვეცლება ეროვნული ნიადაგი. „ზნეობრივი აბურდულობის“ ჟამს მოსყიდულ თუ უტიფარ ადამიანთა გამოისობით, თვით პარლამენტშიც ოპოზიციური და უპირველესად ჩვენი ქვეყნის, მართლაც, დამაქცევარი ნაციონალების უზნეობის ზეიმის შემყურენი, ჩვენი გულგრილობით, ამ ზეიმის თანამონაწილენიც ვხდებით. ადამიანებს და განსაკუთრებით ახალგაზრდებს თუ ჩაუნერგეთ რწმენა იმის შესახებ, რომ ღირსეული არავინ არსებობს ქვეყანაში, არც ჩვენ წინაპრებს შეუქმნიათ საკაცობრიო და ეროვნული ღირებულებები და ახლაც არაფერს წარმოვადგენთ, მაშინ რა დაგვკარგია ასეთ ქვეყანაში? ჩვენი შრომისუნარიანი მოსახლეობაც, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, გაიკრიფა სხვა ქვეყნებში. სამწუხაროდ, ისევ მოგვნახა ჩვენმა უკურნებელმა სენმა – **„არც ერთმანეთს ვასვენებთ და არც ქვეყანას“:** აგერ 30 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სათვალავი აგვერია და ვეღარ დავწინაურდით. ხალხი დაიღალა, ეს უნდოდა მავნებელ ნაციონალებსაც და სხვადასხვა გამოგონილი საბაბით, მიზანმიმართულად აქციებს აქციებზე მართავენ, რუსთაველის პროსპექტი უსინდისოდ დაისაკუთრეს. მოლაყბეებიც არ დაიღალნენ... სამარცხვინოა, როდესაც ვიღაც შოთა დიღმელაშვილი და გიგა მაქარაშვილი ჭკუას გვასწვლიან და ქვეყნის პრობლემებზე მსჯელობენ. აღარაფერს ვიტყვი მიშა მშვილდაძეზე. მიტინგზე გამობრძანდა შოთა ბატონი და გვაუწყა – შობადობა მაღალია საქართველოში, ვიდრე ევროპის ქვეყნებში ისლანდიის გარდაო! ჯერ ერთი, ეს ასე არ არის. მეორეც, მშობადი განსაკუთრებით ნაციონალების პერიოდში შემცირდა და მას წემდეგ ბავშვთა რაოდენობა ყოველწლიურად კატასტროფულად იკლებს. საქართველოში ერთ-ერთმა დიდმა „მოღვაწემ“ შალვა ნათელაშვილმა კიდევ 2019 წლის 19 ივლისს „რუსთავი-2“-ის ეთერში განაცხადა: საქართველოში მხოლოდ ბოლო ერთ წელიწადში 1750-ზეკაცმა მოიკლა თავიო... მან ეს ტყუილი ისე წამორროშა, რომ აზრზე არ იყო თვითმკვლელობის რაოდენობის შესახებ – მთავარია ეს ტრაგიკული მოვლენა გააშუქა და „ოცნებას“ დააბრალა. სამწუხაროდ, ერთმა-ორმა კაცმა თუ იცის რეალურად რამდენმა მოიკლა თავი. სინამდვილეში, საქართველოში ყოველწლიურად თვითმკვლელობით სიცოცხლეს გაცილებით ნაკლები ადამიანი ამთავრებს – დაახლოებით, 160-170 კაცი. კერძოდ, 2004 წელს თავი მოიკლა 23 ქალმა და 141-მა მამაკაცმა, ხოლო 2016 წელს 31 ქალმა და 130-მა მამაკაცმა. ეს იმას ნიშნავს, რომ 2016 წელს ყოველ 100 000 კაცზე თვითმკვლელობით სიცოცხლე დაამთავრა 4 კაცმა. თვითმკვლელობის დონის მაჩვენებელი საქართველოში და საერთოდ კავკასიაში დაბალია. რუსეთში 2016 წელს ეს მაჩვენებელი100 000 ინდივიდზე 16 კაცს უდრიდა; ანუ 4-ჯერ მეტს. ამავე წელს რუსეთში თავი მოიკლა 21 119 კაცმა, მათ შორის, 19 175 მპამაკაცმა და 3 344 ქალმა. ასევე შესამჩნევად მაღალია თვითმკვლელობის მაჩვენებელი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.



ასე რომ, ცრუპენტელა ნათელაშვილს თვალთმაქცობა არ გამოუვიდა. მას ბატონ ბიძინა ივანიშვილის „სინდრომი“ ჭირს. ტელევიზიაში მანამდე ვერ ისვენებს, სანამ „ბოროტი“ ოლიგარქის ძახილით გულს არ იჯერებს, სანამ არ გაწითლდება და ოფლში არ ჩაიხრჩობა.

ეს ჩვენზე კარგად ინგა გრიგოლიამ იცის, მისმა მუდმივმა სასურველმა სტუმარმა უცხო სიტყვათა ლექსიკონში ოლიგარქის შემდეგ ტერმინი ოლიგეფრენიაა განმარტებული, რაც თანდაყოლილ ჭკუასუსტობას ნიშნავს და ეს გამოკვეთილად ეტყობა ნათელაშვილს.

ბოლო 30 წელიწადში საოცრად მომრავლდნენ ნათელაშვილები და გრიგოლიები. ვერავინ დაიჯერებს, რომ რასაც ინგა გრიგოლია ტელევიზიის ეკრანზე საუბრობს, მართლა სჯერა. მაგრამ მისთვის მსუქანი ჯამაგირი წყვეტს ყველაფერს. თუნდაც მისი განვლილი ჟურნალისტური გზა ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია. ინგა გრიგოლია ყოველთვის იქ არის, სადაც ბევრი ფულია. ფული კი თავისით არ მოდის.



* * *

**მე-19 საუკუნეში ჩვენმა დიდმა კორიფეებმა: ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ და იაკობმა ერთ ეროვნულ სულად შეკრეს მთელი საქართველო, ახლა კი, მეტად სამწუხაროდ, მოგვიმრავლდა ისეთი ქართველები, რომელთა „აზრით „ჯანი გავარდეს ქვეყანას, მამულს, ოღონდ ვაამოთ ჩვენ საკუთარ გულს“. თვალსა და ხელს შუა გვეცლება ერთიანობის განცდა, სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. სხვა რამეს არც უნდა ველოდოთ, როდესაც ისეთი ოინბაზები მომრავლდნენ, როგორებიც ლევან ბერძენიშვილი და მისი ძმა დავითია. კოჭი ალჩუზე დაუჯდა და ერთხელ თუ ორჯერ პარლამენტარობასაც გამოჰკრა ხელი.**

ახლაც სულ ცდილობს იტივტივოს და იმასაც ვერ ამჩნევს, რომ რაც ტივტივებს უმეტესობა ყარს და ფშუტეა, იმასაც ვერ ხვდება რა აქია-ბაქია სისულელეებს აფრქვევს ირგვლივ და რას მიედ-მოედება. ამ გონებით მრუშს, სამწუხაროდ, მომრავლებული გონებით სუსტებთან, მაგალითად ინგა გრიგოლიასთან ერთად, კარგად ეხერხება ენის დატრიალება, ორთავეს ძაღლის ყბა აქვთ გამობრმული და თანაც გაცვეთილი ყბედები არიან. ლევან ბერძენიშვილმა ახალი ხელობა შეიძინა და ჩვენი კორიფეების ილიას, აკაკის, ვაჟას, ერეკლე II-ს, სტალინისა და სხვათა გან-



ქიქება დაიწყო, სინდის-ნამუსზე ხელი სულ აიღო და საკითხავია ვინ დანიშნა ჩვენი გამოჩენილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების მსაჯულად. ახლახან ამ ჩიტირეკიამ ასეთი რამეც დააბრეხვა: „ჩვენ გვყავს წმინდანები ლიტერატურაში, ორი კაცი: რუსთაველი და ბარათაშვილი. მეტი წმინდანი არ გვყავს. ჩვენს პატრიარქს უნდა აკაკის გაწმინდანება, მაგრამ საქართველოში ოჯახი არ არის, სადაც აკაკი არ შევიდა ხვადაგური მიზნით, რომ ადგილობრივი დიასახლისი გაეუპატიურებინა და ამიტომ არ გამოვიდა მისი წმინდანობა“. ასეთი აბდა-უბდის დამწერსა და მთხრობელ პროფესორ კაცს, სადაც არც ერთი წინადადება სინამდვილეს არ შეეფერება, მაღალ სართულზე ბევრი რამ რიგზე არა აქვს. დავიწყოთ იმით, რომ ეკლესიის მიერ არც რუსთაველი და არც ბარათაშვილი წმინდანად შერაცხილი არ არის, ხოლო ბერძენიშვილს რა აზრი მოუვა ბინძურ თავში, ეს ღმერთმა უწყის. ამასთან, აკაკის წმინდანად კანონიზების საკითხი ოფიციალურად არასოდეს დამდგარა. არც ის არის არსად ცნობილი, პატრიარქს ამ საკითხზე ვინმესთან ჰქონოდა პრივატული, არაოფიციალური საუბარი. მოკლედ. თავისებურად ზომავს და კარგად ჭრის ეს, მართლა, ბრიყვი, რომლის აზრით, აკაკი თურმე მხოლოდ ადგილობრივ(?) დიასახლისებს აუპატიურებდა, უცხოელ დიასახლისებს კი ხელს არ ახლებდა!.. სულხან-საბა ორბელიანი სქესობრივ კავშირს შემდეგნაირად განმარტავდა: მამაკაცისაგან დედაკაცის დამდაბლებაი. საქართველოს ბულბული კი თურმე ყველას აუპატიურებდა, ნამუსს ხდიდა. ასეთი სიდამპლე რამ გათქმევინა, შე მართალია არაკაცო!..

ცნობილია, რომ აკაკი წერეთელს მეუღლესთან, რომელიც ძირითადად პარიზში ცხოვრობდა, კარგი ურთიერთობა არ ჰქონდა, თუმცა წერილებში მას დიდ სიყვარულს უცხადებს და ხშირად განიცდის ოჯახთან დაშორებას. ერთ-ერთ წერილში მეუღლეს მისთვის ჩვეული იუმორით წერს: „გკოცნი მაგრად, მაგრად... ისე მაგრად, რომ მეშინია დაპლომბილი კბილები არ გადმომცვივდესო“, ილია ჭავჭავაძე კიდევ მეუღლეს წერდა: „ერთ ურემ კოცნას გიგზავნიო“...

ძნელია და მტკივნეული ბერძენიშვილის მგავს კაცზე აუგის თქმა და მით უფრო საჯაროდ გამოტანა, მაგრამ როდესაც ამის საშუალებას არ გაძლევენ, სხვა გზა აღარ გრჩება. ეს მით უფრო არსებითია, რომ შექსპირისა არ იყოს, „ღვარძლის ბალახს ნუ აპატივებ, უფრო ძლიერ არ გაღონიერდესო“.

* * *

**დასასრულ, როგორც დემოგრაფმა, უნდა აღვნიშნო: ის, რაც ზემოთ ითქვა, მნიშვნელოვნად ამცირებს შობადობას და უფრო ინტენსიურს ხდის გარე მიგრაციულ პროცესებს. შობადობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს და როდესაც შენი წინაპრების, თანაც კორიფეების განქიქებას იწყებ, როდესაც ვიღაც ქაჯი თუ ავადმყოფი ანანია გაჩეჩილაძე ქართველების საფიცარ თამარ მეფის სახეს პრეზერვატივზე გამოხატავს და ვითომ მწერალი ლაშა ბუღაძეც თამარ მეფის ქმართან გატარებულ პირველ ღამეს საოცარი სიბინძურით აგვიწერს, ასეთ ქვეყანაში კაცს აღარ დაედგომება და განსაკუთრებით ახალგაზრდობა იმაზე ფიქრობს, როგორმე გაეცალოს აქაურობას.**

ეს იმის ბრალიც არის, რომ არასწორად გავიგეთ დემოკრატია და ასეთი დემოკრატია მოვალეობების გარეშე არავის სჭირდება. ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სხვა ქვეყნებში წინაპართა განქიქების მაგალითებს, ისიც ასეთი მასშტაბით, კაცი ვერსად შეხვდება. რა მოგვდის? თუ ასე გავაგრძელეთ ქვეყანას ემიგრაციული და იმიგრაციული სიკვდილი არ აცდება. გოეთეს ნათქვამია: დრო ისე სწრაფად მიფრინავს, თუ არ შემოვიღებთ მკაცრ დისციპლინას, ვერას გავხდებით.

* * *

**იონა ვაკელს აქვს ცნობილი პიესა „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“, რომელიც გასულ საუკუნეში ქართულ თეატრებში იდგმებოდა. ეს პიესა მარჯანიშვილის თეატრმაც დადგა 1934 წელს. მთავარ გმირს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, აპრაკუნე ჭიმჭიმელს კოლმეურნე ქალი მოსწონს, რომელიც მის გრძნობას არ პასუხობს.**

იგი ერთხელაც აპრაკუნეს პირში მიახლის: შინ ბროლივით თეთრი ქალი გიზის და იმას მიხედეო. აპრაკუნე თავხედურად პასუხობს: თეთრი და ფერთმკრთალი მე რად მინდა, ვარდისფერი ქალი მიყვარს, ღაჟღაჟაო. ქალმა ვეღარ მოითმინა და აპრაკუნეს შეაფურთხა – ფუ, შენს კაცობასო. აპრაკუნამაც არ დაახანა და ქალს მიმართა: შემაფურთხე თუ არა ვერ მოვიწმინდავო.

შენც რამდენჯერ უნდა მოიწმინდო შეფურთხებული, ლევან ბერძენიშვილო!?

P. S. **თბილისის პირველი მერი დამოუკიდებელ საქართველოში, ყოველგვარი ღირსებით შემკული კაცი ნიკო ლეკიშვილი, რომელსაც ბევრი სიკეთე გაუკეთებია, იგონებს: გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში ლენინის ძეგლი საქართველოში პირველად რაჭაში ჩამოაგდესო. ჯერ კიდევ სახიფათო იყო ლენინის ძეგლის ჩამოგდება და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ გამგებელს დაურეკა – როგორ მოხდა ძეგლის ჩამოგდებაო. ძეგლის ჩამოგდება, გამგებელმაც, რათა პასუხი არავისთვის მოეთხოვათ, რაიონში ცნობილ შერეკილ, ძალიან სულელ, როგორც რაჭაში ამბობენ, ორსულელა კაცს დააბრალაო.**

**კაცი, რომელიც ილიას, აკაკის, ვაჟას, ერეკლე მეორის განქიქებას დაიწყებს, სწორედ ეს სახელი შეეფერება ყველაზე მეტად და ლევან ბერძენიშვილსაც თუ ორსულელას მეტსახელით მოვიხსენიებთ, ამით არაფერი დაშავდება...**

**ორსულელა ლევან ბერძენიშვილი მშვენივრად ჟღერს!..**



**ანზორ თოთაძე**

◉ ტრიუმფი



# ბოსნიურ ტატამზე

**ძიუდოისტთა ნებისმიერი ტურნირის გამოკვეთილმა ფავორიტმა — საქართველოს ნაკრებმა საბა საბაშვილისა და დავით ლომიტაშვილის (ორივე — 55 კგ) მიერ მოპოვებული ბრინჯაოს მედლებით გახსნა ბოსნიაში გამართული ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რასაც ოქროებიც მოჰყვა.**

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ჰიმნი ჯერ **დავით ქარელის** (60 კგ) გამარჯვების აღსანიშნავად აჟღერდა. მან თანმიმდევრობით დაჯაბნა პოლონელი, სლოვაკი, უნგრელი და ყაზახი მეტოქეები, ნახევარფინალში ვაზარით სძლია აზერბაიჯანელ იმრანოვს, სატიტულო ბრძოლაში კი ფრანგი კელვინი დააიპონა.

საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აბიჯა **საბა სამადაშვილმაც** (66 კგ), ვინც ჯერ საუდის არაბეთისა და იტალიის წარმომადგენლებს მოუგო, დასკვნით შეხვედრებში კი იპონით გაუსწორდა ფრანგ რენარდსა და უზბეკ ოტაბოევს.

დღეში ორმედლიან გრაფიკს უმცროსმა „ჯვაროსნებმა" 73 კილოგრამ წონით კატეგორიაშიც უერთგულეს, სადაც **ლუკა ჯავახიშვილმა** მხოლოდ ფინალური შეხვედრა წააგო და ქართულ დელეგაციას პირველი ვერცხლი მოუტანა, ხოლო **გიორგი მიშველაძე** მესამე პრიზიორი გახდა და პარტნიორებს ასევე მესამე ბრინჯაო შესძინა.

ასე რომ, ქართველ ძიუდოისტთა ბოსნიური ნადავლი ერთობ შთამბეჭდავია — **6 მედალი (2 ოქრო, 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაო).**

◉ უეფას ეგიდით

# სეზონთა მიჯნაზე

**ყატარის მუნდიალის ნოემბერ-დეკემბერში უჩვეულოდ გვიან გამართვის გამო წლევანდელი ჩემპიონთა ლიგა სტარტს უკვე 6-7 სექტემბერს აიღებს, რის გამოც, შესაბამისად, მისი ჯგუფური რაუნდის წილისყრამაც გადმოიწია და მას სტამბოლმა უმასპინძლა, სადაც გაისად 10 ივნისს ფინალია დანიშნული.**

თურქული ცერემონიის მსვლელობისას, ტრადიციისამებრ, უეფამ სხვადასხვა პრესტიჟულ ნომინაციებში გამარჯვებულებიც გამოავლინა:

წლის საუკეთესო ფეხბურთელი — **ქარიმ ბერზემა** („რეალი"). მან განვლილ სეზონში ჩემპიონთა ლიგა (15 გოლი) და ესპანეთის ჩემპიონატი (32 მატჩში 27 გატანილი ბურთი და 12 შედეგიანი გადაცემა) მოიგო. ფრანგის კონკურენტები ბელგიელები — თანაკლუბელი მეკარე **ტიბო კურტუა** და „სიტის" ლიდერი **კევინ დე ბრუინი** იყვნენ (პირველი შემთხვევაა აღნიშნული ჯილდოს 11-წლიან ისტორიაში, როცა ნომინანტთა საბოლოო 3-წევრიან სიაში ერთი ქვეყნიდან ერთბაშად 2 წარმომადგენელი აღმოჩნდა).

საუკეთესო მწვრთნელი — **კარლო ანჩელოტი** („რეალი"!. თავისი შეგირდის მსგავსი ტიტულებით იტალიელმა ფენომენმა ღირსეულ კოლეგებს — **იურგენ კლოპსა** („ლივერპული") და **პეპ გვარდიოლას** („სიტი") გაუსწრო.

უეფას სლოვენიელი პრეზიდენტის **ალექსანდრ ჩეფერინის** სპეციალური პრიზი ლეგენდარულ იტალიელ სპეციალისტს **არიგო საკის** გადაეცა.

ქალთა შორის უპირატესობა მიენიჭათ **ალექსია პუტელიასს** („ბარსელონა", ზედიზედ მეორედ) და ნიდერლანდელ დამრიგებელს **სარინა ვიგმანს,** რომელმაც ფეხბურთის სამშობლოს ნაკრებს პირველად მოაგებინა ევრო — 2022.

რაც შეეხება თვით კენჭისყრის პროცედურას, რომელშიც **ჰამით ალთინტოფი** და **იაია ტურე** მონაწილეობდნენ, ასეთი შედეგები მოგვცა:

**„ა" ჯგუფი.** აიაქსი, ლივერპული, ნაპოლი, რეინჯერსი.

**„ბ" ჯგუფი.** პორტუ, ატლეტიკო, ლევარკუზენი, ბრიუგე.

**„გ" ჯგუფი.** ბაიერნი, ბარსელონა, ინტერი, პლზენი.

**„დ" ჯგუფი.** აინტრახტი, ტოტენჰემი, სპორტინგი, მარსელი.

**„ე" ჯგუფი.** მილანი, ჩელსი, ზალცბურგი, ზაგრების დინამო.

**„ვ" ჯგუფი.** რეალი, ლაიფციგი, შახტარი, სელტიკი.

**„ზ" ჯგუფი.** სიტი, სევილია, დორტმუნდი, კოპენჰაგენი.

**„თ" ჯგუფი.** პარი სენ-ჟერმენი, იუვენტუსი, ბენფიკა, მაკაბი.

როგორც ხედავთ, ძალიან ძლიერ მეტოქეთა კამპანიაში მოხვდა **ხვიჩა კვარაცხელიას** „ნაპოლი", მაგრამ, მეორე მხრივ, ვისთან, თუ არა გამობრძმედილ გრანდებთან, უნდა დაამტკიცოს იტალიური კლუბის ბრილიანტმა საკუთარი ტალანტი.

დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას **დავით ხოჭოლავას** კოპენჰაგენზეც, ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის საწყისი რაუნდის სიკვდილის ჯგუფები კი, დაგვეთანხმებით, „გ" და „თ" კვარტეტებია.



და ბოლოს, სერია ა-ს კიდევ ერთი ქართველი დებიუტანტის — **ლუკა ლოჩოშვილის** კლუბ კრემონეზეს შესახებაც ვთქვათ ორიოდე სიტყვა, რომელმაც სტარტზე ზედიზედ მესამე მატჩი წააგო, ამჯერად შინ ტორინოსთან 1:2. ჩვენი თანამემამულე განაცხადს მიღმა დარჩა და, ბუნებრივია, არ უთამაშია, არადა წინა ტურში რომასთან ერთ-ერთი საუკეთესო იყო...

◉ მუნდიალი 2023

# კაპიტნით და უკაპიტნოდ

**ნიდერლანდებთან საბედისწერო გამარჯვების შემდეგ საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მცირედი დაისვენა, 25 აგვისტოს გამთენიისას გეზი იტალიისკენ აიღო და ქალაქ ბრეშიაში, სადაც მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის მეორე ჯგუფური რაუნდის მორიგი მატჩი ელოდა, ადგილობრივი დროით 15 საათზე ჩააღწია, მეორე დღეს კი ილიას ზუროსმა ბიჭები გეგმის მიხედვით ორჯერ ავარჯიშა.**

გუნდს თან გაჰყვა **თორნიკე შენგელია,** რომელმაც წინა შეხვედრაში მხრის მძიმე ტრავმა მიიღო. „ჯვაროსანთა" კაპიტანი ბოლონიაში მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ტრავმატოლოგიურ კლინიკაში სამკურნალოდ გაემგზავრა და ქალაქ ბერგამოში პარტნიორებთან ერთად ჩაფრინდა, რასაკვირველია, მედიკოსთა მიერ სპეციალური საშუალებებით დაფიქსირებული მხრით და მიღებული ტკივილგამაყუჩებლებით.

მას მხრის ძვლის მაღალი ხარისხის დისლოკაცია და იოგების დაზიანება აქვს და ბოლონიელი ექიმები გადაწყვეტენ, გამოსაჯანმრთელებლად რა სახის მკურნალობა და რამდენი დრო დასჭირდება.

ბერგამოს აეროპორტიდან დანიშნულების ადგილამდე გუნდის ლიდერს ფედერაციის პრეზიდენტი **ვიქტორ სანიკიძე** და ნაკრების ექიმი **თემურ ხვედელიძე** გაჰყვნენ, დელეგაცია კი ბრეშიას სასტუმრო „ნოვოტელში" საავტობუსო რეისის შემდეგ დაბინავდა.

კაპიტანი პარტნიორებს დარბაზიდანაც ამხნევებდა და მათაც კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ, მართალია უდიდესი დანაკლისი ჰქონდათ, მაგრამ სავსებით შესწევთ ელიტაში დასამკვიდრებელი უნარი.

### იტალია - საქართველო 91:84 (25:19, 18:19, 23:28, 25:18)

**იტალია:** ფონტეკიო — 21 ქ. 18 მ. 6 პ. გალინარი — 17 ქ. 4 მ. 1 პ. სპისუ — 15 ქ. 1 მ. 5 პ. მელი — 12 ქ. 4 მ. 1 პ. დატომე — 9 ქ. 2 მ. 1 პ. ტონუტი — 7 ქ. 2 მ. 4 პ. მანიონი — 6 ქ. 2 პ. რიჩი — 4 ქ. 5 მ. 2 პ. პოლონარა — 3 მ. 2 პ. ითამაშა აგრეთვე ბილიგამ.

მწვრთნელი — **ჯანმარკო პოცეკო.**

**საქართველო:** ბითაძე — 19 ქ. 13 მ. 1 პ. მაკფადენი — 16 ქ. 2 მ. 2 პ. შერმადინი — 12ქ. 3 მ. 1 პ. სანაძე — 11 ქ. 2 მ. 2 პ. მამუკელაშვილი — 8 ქ. 3 მ. 1 პ. ცინცაძე — 8 ქ. 2 მ. 11 პ. ჯინჭარაძე — 5 ქ. ბურჯანაძე — 3 ქ. ბექაური — 2 ქ. 3 მ. ანდრონიკაშვილი — 1 პ. ითამაშა აგრეთვე ბოქოლიშვილმა.

მწვრთნელი — **ილიას ზუროსი**.

მეტოქეთა მეთერთმეტე მატჩი „სკუადრა აძურას" მეთერთმეტე გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ ოქმი მოწმობს, რომ ნავსის გატეხვა ნამდვილად შეგვეძლო.

დიახ, მასპინძლებს ორი პერიოდი მოვუგეთ, ყველა მეოთხედი სოლიდური უპირატესობით დავიწყეთ და, ვინ იცის, იქნებ სწორედ შენგელიას არყოფნა იყო იმის მიზეზი, რომ საქმე ხმაურიან სენსაციამდე ვერ მივიყვანეთ.



სავსებით შესაძლებელია.

არადა, შეხვედრის წინ ბიჭები გვპირდებოდნენ, რომ ლიდერის გასამხნევებლად თავდაუზოგავად იბრძოლებდნენ და სიტყვა პირნათლად შეასრულეს.

დასანანი მხოლოდ ის გახლავთ, რომ აპენინელებს ვერაფრით შეუზღუდეს პერიმეტრიდან ზუსტი სამქულიანი ტყორცნები, საკუთაარი კოზირი — ტანმაღალ მოთამაშეთა უპირატესობა კი მხოლოდ ნაწილობრივ გამოიყენეს, რადგან ჩვენ ფარქვეშ მოხსნებში გვაჯობეს.

რაც შეეხება ნბა-ს წარმომადგენელთა დუელს, **ბითაძემ** კი ივაჟკაცა, თანაც 2 სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ მამუკელაშვილის არცთუ კარგი თამაშის ფონზე უკეთესი პირადი მონაგრის მოგროვების შანსი **ფონტეკიო-გალინარის** დუეტს მიეცა (სხვათა შორის, ეს უკანასკნელი სწორედ მაშინ დაიმტვრა, როცა თამაში წაუვიდა).

აღსანიშნავია აგრეთვე ვეტერანი **ცინცაძის 11(!)** ასისტი, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მაინც იტალიელთა უბერებელმა სნაიპერმა **დატომემ** თქვა, რომელმაც კრიტიკულ ვითარებაში ზედიზედ სამი შორეული გასროლით დაგვსაჯა.

დავძენთ, რომ ამ კატათაგვობანას ფინიშზე 74:82-ზე მაკფადენმა ორი სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა — 82:82, მაგრამ...

**ნიდერლანდები — ესპანეთი 64:86, ისლანდია — უკრაინა 101:98** (დამატებით დროში).

**სატურნირო მდგომარეობა:**

ესპანეთი, იტალია — 5-5, ისლანდია — 4, საქართველო — 3, უკრაინა — 1, ნიდერლანდები — 0 მოგება.

ასე რომ, საბოლოოდ გამოიკვეთა ჩვენი უშუალო კონკურენტის ვინაობა მუნდიალის მესამე საგზურისთვის ბრძოლაში — ესაა ისლანდია, რომელმაც უკრაინა, დიდი ალბათობით, თამაშგარეში დატოვა. 11 ნოემბერს სწორედ სეზონის აღმოჩენა ისლანდიას ვეწვევით.



# ფრთხილად, ამბროზია ყვავილობს!

## იმუნოლოგიის ცენტრის გაფრთხილება!

**საქართველო ამ ეტაპზე ამბროზიის ყვავილობის პიკში იმყოფება. საქართველო ამბროზიის ენდემურ კერად ითვლება და ის ჭარბად არის გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა და დედაქალაქში. ამის შესახებ განცხადებას ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი ავრცელებს.**

ამბროზიის მიმართ ალერგია შემდეგი სიმპტომებით ვლინდება:

- **ცხვირიდან უხვი წყლისებრი გამონადენი (პაციენტებს შეიძლება რამდენიმე კოლოფი ცხვირსახოცის გახარჯვა მოუხდეთ დღეში);**
- **ცხვირის გაჭედვა და სუნთქვის გაძნელება;**
- **ცხვირის, თვალების, სასის, ყურების ქავილი;**
- **თვალების სიწითლე, ცრემლდენა;**
- **ხველა;**
- **ხმაურიანი სუნთქვა, ქოშინი, სუნთქვის უკმარისობა, გამონაყარი.**

**„თუ თქვენ წელიწადის ამ დროს გივლინდებათ ჩამოთვლილიდან რომელიმე სიმპტომი, ან წელს პირველად შენიშნეთ მათი არსებობა და გაგიხანგრძლივდათ დროში, მაშინ საჭიროა ჩაიტაროთ გამოკვლევა, ხართ თუ არა ამბროზიის მიმართ ალერგიული. ტესტის ჩატარება შესაძლებელია ამბროზიის ყვავილობის დროს სისხლით, ამბროზიის ყვავილობის დასრულების შემდეგ სისხლით და კანის სინჯით.“**

ალერგოლოგ-იმუნოლოგის **ბიძინა კულუმბეგოვის** განმარტებით, საქართველოში ალერგიის სამი სეზონი არსებობს — პირველი — ესაა ადრეული გაზაფხული, როდესაც ხე-მცენარეები იწყებენ ყვავილობას. ეს პერიოდი იწყება თებერვლის ბოლო პერიოდიდან და მთავარი ალერგენი კვიპაროსია, რომელიც აპრილის ბოლომდე-მაისის პირველ კვირამდე იყვავილებს. შემდეგ იწყება ბალახოვანი მცენარეების ყვავილობა და ამ დროს წამყვანია ტიმოთი, იგივე ტიმოთელა, რომელიც მაისი-ივნისი-ივლისის შუა პერიოდამდე ყვავილობს. მესამე სეზონი კი ზაფხულის ბოლოსა და შემოდგომის დასაწყისზე მოდის და ამბროზიას უკავშირდება.

ბიძინა კულუმბეგოვი ასევე განმარტავს, რომ ხშირად ალერგიას გაციებით დაავადებებს მიაწერენ.

თუმცა არსებობს სამი მარტივი პრინციპი, რომელიც გაციების და ალერგიულ დაავადებებს ერთმანეთისგან განასხვავებს: 1. სეზონური ალერგია უფრო ხანგრძლივია, ვიდრე გაციების დროს, რადგან არც ერთი მცენარე 1 კვირა და 10 დღე არ ყვავილობს მაშინ, როცა გაციებითი დაავადებებისთვის ძირითადად ეს ვადაა დამახასიათებელი. 2. ალერგიის დროს გამონადენი არის წყლის მაგვარი და გამჭვირვალე, გაციების მე-2-მე-3 დღეს კი მისთვის სიბლანტე და სიყვითლეა დამახასიათებელი. 3. ალერგიას არასდროს არ ახლავს ტემპერატურული რეაქციები მაშინ, როდესაც გაციებითი დაავადებები მცირე ტემპერატურით მაინც ხასიათდება.

# შვეიცარიული გამოცდილების გაზიარება

**შვეიცარიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დელეგაცია შვეიცარიაში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრები სოფლის მეურნეობაში ექსტენციის სისტემის ეფექტიანად ფუნქციონირების გამოცდილებას გაეცნენ.**



შეხვედრები გაიმართა ბერნის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტში, სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის, ასევე სოფლის მეურნეობის, ტყის და კვების მეცნიერებების სკოლაში (HAFL) და ადგილობრივი კანტონების შესაბამის სამსახურებში.

ვიზიტი გაეროს განვითარების პროგრამის „საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლების და ექსტენციის სისტემების მოდერნიზების“ პროექტის ორგანიზებით განხორციელდა.

ვიზიტის ფარგლებში, დელეგაციის წევრები გაეცნენ სოფლის განვითარების იმ სტრატეგიებს, რომლებიც ხელს უწყობს ფერმერების უნარებისა და ცოდნის გაღრმავებას; ასევე, მოისმინეს ინფორმაცია სოფლის განვითარების იმ პროგრამების შესახებ, რასაც სახელმწიფო ფერმერების ფინანსური მხარდაჭერისთვის ახორციელებს; გაზიარებულ იქნა ექსტენციის სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადების პროგრამები, ფერმერებში ცოდნის გავრცელებისთვის არსებული მექანიზმები და საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის შვეიცარიული მოდელი, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მიდგომები.

# ხანძრის ჩაქრობის პროცესი დასკვნით ეტაპზე გადავიდა

**ბორჯომის ხეობაში ხანძრის ქრობის პროცესი დასკვნით ეტაპზე გადავიდა,** — ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.

უწყების ცნობით, ამ დროისთვის მუშავდება ცეცხლის დარჩენილი რამდენიმე მცირე მასშტაბის აქტიური და მხრჩოლავი კერა. გაყვანილია გზები მძიმე ტექნიკის დახმარებით და გრძელდება დარჩენილ კერებთან გზების მიყვანის პროცესი. სალოკალიზაციო-სალიკვიდაციო სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობს ავიაცია.

ხანძრის ქრობის პროცესში, მეხანძრე-მაშველებთან ერთად, უწყვეტ რეჟიმში, კვლავ მონაწილეობენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის, თავდაცვის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ასევე, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების თანამშრომლები.

# აივნის ჩამონგრევას ქალბატონი ემსხვერპლა

**თბილისში, ჩიქობავას ქუჩაზე, იტალიურ ეზოში, საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის აივანი ჩამოინგრა, რის შედეგადაც 74 წლის ქალი დაიღუპა.**

ჩიქობავას 5 ნომრის მცხოვრებლები ამბობენ, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების და ქალის კლინიკაში გადაყვანის მიუხედავად, მისი დაზიანებები სიცოცხლისთვის შეუთავსებელი აღმოჩნდა. მეზობლების ინფორმაციით, კორპუსი ავარიულია და სჭირდება რეაბილიტაცია. მათი თქმით, თბილისის მერიას რეაბილიტაციისთვის თანხა გამოყოფილი ჰქონდა, თუმცა მეპატრონემ ამაზე თანხმობა არ განაცხადა და კორპუსის რეაბილიტაცია ამ დრომდე არ მომხდარა. გარდაცვლილს ბინა ნაქირავები ჰქონდა.



## სანთელი



# ივიკო საყვარელიძე აღარ არის...

**გათენდა კიდევ ერთი ტკივილიანი დღე და ივიკო საყვარელიძის სიკეთით სავსე სიცოცხლე მარადიულობას შეუერთდა.**

**ძალიან ძნელია, ივიკოზე ისაუბრო წარსულში, მაგრამ სამწუხაროდ, ასე გვიწევს... ცხოვრების გზის ის დიდი ნაწილი, რომელიც ჩვენ, მისმა მეგობრებმა მასთან ერთად გავატარეთ, ნათელი დასტურია იმისა, თუ რა დიდი პიროვნება იყო, ნამდვილი ინტელიგენტი, გულწრფელი, გვხიბლავდა თავისი თბილი და ტკბილი ხმით, ის ხომ ქალაქელობის, ოჯახიშვილობის, ძმაკაცობის განსახიერება ბრძანდებოდა — უბრალოდ ქალაქის კოლორიტი.**

**სხვანაირად ალბათ არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან ივიკო საყვარელიძე იყო იმ დიდი გენეტიკის მატარებელი, რომელთა ჰანგები საუკუნის მანძილზე აღკბობდნენ და აღკბობენ ქართველ საზოგადოებას და არა მარტო მათ.**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.**

**უახლოესი მეგობრები: ძიკა ცქიტიშვილი, მერაბ მახარაძე, ლეო ნინუა, ბონდო ქოზულია, მერაბ ახობაძე, იმედა კახიანი, დათო დათოშვილი, ჯემალ კეთილაძე, თამაზ გოგინაშვილი, ჯუმბერ გონაშვილი, ზურა ფაღავა.**

**ნათელა ქიმერიძე და ომარ შურღაია ღრმა მწუხარებით იუწყებიან უსაყვარლესი ბიძაშვილის, გაგა შურღაია კი ბიძის**

## ვახტანგ ესაიაშვილის

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.**

# ომს უკრაინაში მეცხრამეტე ქართველი შეეწირა



**უკრაინაში კიდევ ერთი ქართველი მებრძოლი, გელა გოგია დაიღუპა. დაღუპული მებრძოლის ცხედარს საქართველოში რამდენიმე დღეში ჩამოასვენებენ.**

გელა გოგია სენაკიდან იყო. ოჯახის ინფორმაციით, ქართველი მებრძოლი კრამატორსკთან მიმდინარე შეტაკებებისას მძიმედ დაიჭრა და მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

გელა გოგია წლების განმავლობაში უკრაინაში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ უკრაინაში საქართველოს საელჩო აღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმირებულია. 24 თებერვლის შემდეგ, უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიას უკვე 19 ქართველი მებრძოლი ემსხვერპლა.

# ილია მეორე: კაცობრიობა დაიღალა, ჩვენც დავიღალეთ, მაგრამ გული არ უნდა გაგვიტყდეს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ჩვენთან არის!..



**ყველას გილოცავთ მარიამობას. დღეს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ჩვენთანაა. შესთხოვეთ რაც გიჭირთ და ღვთისმშობელი შეასრულებს თქვენს თხოვნას,** — ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გუშინ სიონის ტაძარში ქადაგებისას ბრძანა.

**„სიონობას გილოცავთ, ჩვენთან არს ღმერთი. დღეს ჩვენ ვიხსენებთ ჩვენს წინაპრებს. ასე რომ, ზეიმი ორმაგია, ზეციური და ქვეყნიური. აგრეთვე ვულოცავთ ჩვენს წინაპრებს მარიამობის დღესასწაულს. აი, თქვენ ახლა იგალობეთ — „დავიღალე, დავიღალე, მოდი ჩემთან, უფალო"! კაცობრიობა დაიღალა, ჩვენც დავიღალეთ, მაგრამ გული არ უნდა გაგვიტყდეს. ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ჩვენთან არის. გიხაროდეთ, რამეთუ ჩვენ შვილები ვართ ღვთისმშობლისა. ვისაც გაქვთ დრო და საშუალება, თქვენც წაიკითხოთ ღვთისმშობლის დაუჯდომელი. დალოცვილი იყავით და გაიხარეთ, მე მუდამ თქვენთან ვარ სულით და ხორცით, ჩვენთან არს ღმერთი",** — განაცხადა ილია მეორემ.

# საქართველოს სტენდმა ოქროს მედალი მოიპოვა

**თურქეთში, ქალაქ სტამბოლში გამართულ საერთაშორისო გამოფენა-კონგრესზე APIMONDIA 2022 საქართველოს სტენდმა ოქროს მედალი მოიპოვა. ფესტივალის ფარგლებში, 10 სხვადასხვა ნომინაციაში დაჯილდოვდნენ მონაწილეები, მათ შორის სოფლის განვითარების სააგენტო საუკეთესო სტენდის ნომინაციაში ოქროს მედლით დაჯილდოვდა.**

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით და სოფლის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, თურქეთში, ქალაქ სტამბოლში გამართულ საერთაშორისო გამოფენა-კონგრესზე APIMONDIA, 2022 საქართველოს სტენდზე წარმოდგენილი იყო ქართული თაფლის მწარმოებელი 8 კომპანიის სხვადასხვა სახეობის ქართულ თაფლი, მათ შორის ჯარას თაფლი. მიმდინარე წელს, გამოფენაში მონაწილეობდა 50 ქვეყანა და მეფუტკრეობის სექტორში მოქმედი 150-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია.

# სურვილის ასრულებას საუკუნე ელოდა

**ავსტრალიელმა პოლიციელებმა 100 წლის ჯინ ბიკენტონს ოცნება აუსრულეს და თავის დაბადების დღეზე დააკავეს.** ქალი სამხედრო მედდად მუშაობდა და ცხოვრების განმავლობაში კანონი არასოდეს დაურღვევია.



**„ბევრისთვის დაკავების გარეშე ცხოვრება საკმაოდ კარგი ვარიანტია, მაგრამ არა ჯინ ბიკენტონისთის. დაკავება მისი ოცნებების სიაში იყო. ამიტომ სამი პოლიციელი მის საცხოვრებელ მოხუცებულთა სახლში სამსახურებრივი მანქანითა და ჩართული სირენით მივიდა. სამართალდამცველები სახლში მაშინ შევიდნენ, როდესაც ბიკენტონი იუბილეს აღნიშნავდა. მათ სტუმრებს ვითარება აუხსნეს, ქალბატონ ბიკენტონს ხელბორკილები დაადეს და ოფიციალურად დაკავებულად გამოაცხადეს. მას სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია",** — აღნიშნულია ვიქტორიას შტატის პოლიციის დეპარტამენტის განცხადებაში. თავად ბიკენტონი კი გაკვირვებული იყო იმით, რომ ხელბორკილები რბილი აღმოჩნდა. მისი თქმით, ეს საუკეთესო წვეულება იყო მის ცხოვრებაში.

# IPHONE 14-ის პრეზენტაციის თარიღი ცნობილია

**როგორც კომპანიის ოფიციალურ ვებგვერდზეა აღნიშნული, პრეზენტაცია 7 სექტემბერს გაიმართება.**

პრეზენტაციის პირდაპირ ეთერში ხილვა Aggkt-ის ოფიციალურ არხზე იქნება შესაძლებელი. პირველად 2019 წლიდან წარდგენა ონლაინ-ფორმატში, ჟურნალისტებისა და სხვა სტუმრების თანდასწრებით გაიმართება.




# „მუსიკის ზეიმის" წარდგინება „ღამის სერენადებში"

**ბათუმი-თბილისის კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში, ბათუმში, აჭარის მწერალთა სახლში წიგნის „მუსიკის ზეიმი" პრეზენტაცია გაიმართა.**

ფესტივალს დაარსებიდან 40 წელი შეუსრულდა. სწორედ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, „ღამის სერენადების" სამხატვრო ხელმძღვანელისა და ლიანა ისაკაძის ძმისშვილის ინიციატივით გამოიცა წიგნი „მუსიკის ზეიმი", რომელიც საზოგადოებას გააცნობს ლიანა ისაკაძის შემოქმედებას, ბიოგრაფიას და შინაგან სამყაროს.

# ორ დღეში რვა სუპერკონცერტი!..

**ბელგიის სამეფოს ქალაქ ვატერლოოსთან მდებარე, ვილერის სააბატოში ორი დღის განმავლობაში საგუნდო სიმღერების საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი გაიმართა.**




საგანგებოდ მოწყობილ ექვს ლოკაციაზე მაყურებლის წინაშე ანსამბლ „რუსთავის" გარდა, ამერიკელი, ბრიტანელი, ბელგიელი და ფრანგი მომღერლები წარდგნენ. აღსანიშნავია, რომ ქართული პოლიფონიისა და ანსამბლ „რუსთავის" მოსასმენად ყველაზე მეტი მსმენელი შეიკრიბა. ორი დღის განმავლობაში ანსამბლმა რვა კონცერტი გამართა.

# ერთ დღეში გამდიდრდა



**აღმოსავლეთ აფრიკაში, ტანზანიაში, მაღაროელმა უიშვიათესი ძვირფასი ქვის, ტანზანიტის ორი გიგანტური ნატეხი იპოვა. ქვების ჯამური ღირებულება 2,2 მილიარდი ტანზანიური შილინგია, რაც თითქმის ერთი მილიონი დოლარის (978,260 აშშ დოლარი) ექვივალენტია.**

როგორც სააგენტო „ანადოლუ" წერს, ქვებს, რომლებიც 3,74 და 1,48 კილოგრამს იწონიან, მთავრობა შეიძენს.

**„ვულოცავთ მას ასეთ იღბალს, მთავრობა მას შესაბამისად გადაუხდის",** — განაცხადა ტანზანიის სამთო საკითხთა სამინისტროს წარმომადგენელმა. ზოგიერთი გეოლოგის აზრით, უიშვიათესი ძვირფასი ქვის — ტანზანიტის მარაგი, მომდევნო 20 წლის განმავლობაში, შეიძლება, მთლიანად ამოიწუროს.



# ყველაზე გრძელი კიტრი

**ინგლისელმა მებაღემ სებასტიან სუსკიმ მსოფლიოში ყველაზე გრძელი კიტრი მოიყვანა — კიტრის სიგრძე 1,1 მეტრია.**

სებასტიან სუსკი აცხადებს, რომ არაერთი წელია გრძელი კიტრების მოყვანით არის დაკავებული და ყოველთვის სურდა გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრა.

**„გრძელი კიტრების მოყვანა ძალიან სარისკო საქმეა. თუ ძალიან ადრე მოჭრი, რეკორდს ვერ დაამყარებ, ხოლო თუ დააყოვნებ, კიტრი შეიძლება გაფუჭდეს",** — ამბობს მოყვარული მებაღე.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 30 აგვისტოს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.8608; ევრო - 2.8648
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3860;
100 რუბლი - 4.4721; თურქული ლირა - 0.1574;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6828;
1000 სომხური დრამი - 7.0290.

**ამინდი 29 აგვისტოსთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +14, | დღე +36 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +10, | დღე +34 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +19, | დღე +34 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +16 | დღე +34 |
| თბილისი: | ღამე | +19, | დღე +36 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge